ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 8 (1382) | 30/III - 5/IV, 1994.

შევარდნაძის გამარჯვება საქართველოზე?

ნოდარ ნათაძე

ლაპარაკია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 1 მარტს მიღებულ დადგენილებაზე „ესენგეს“ წესდებასთან საქართველოს შეერთების შესახებ, რითაც დაგვირგვინდა შევარდნაძის, სულ ცოტა, წელიწადნახევრიანი პოლიტიკა, რომელიც, როგორც ახლა ჩანს, რუსეთის ორბიტაში საქართველოს დაბრუნებისკენ იყო მიმართული. კითხვის ნიშანი სათაურში ეხება ორ რასმე. პირველი: არის თუ არა ეს გამარჯვება გადამწყვეტი, ანუ შეძლებს თუ არა დღესდღეობით ძლეული საქართველო საქმის კვლავ წაღმა შემობრუნებას ახლო მომავალში? და მეორე: მოვლენათა იმ განვითარებაში, რაც ამ ბოლო თვეების მანძილზე მოხდა (გაეროს უშიშროების საბჭოს 9 მარტის სხდომის ჩათვლით) ყველაფერი მართლაც საქართველოს დამარცხებაა? და ხომ არ არის ამ მოვლენებში რამე ისეთი, რაც საქართველოსკენ ისტორიული პროცესის ობიექტურ შემობრუნებას კი არა, თვით საქართველოს მიერ (ან ქართველების მიერ) ჩვენი ქვეყნისთვის მოპოვებულ გამარჯვებად ჩაითვლებოდეს?

ამთავითვე მინდა შევნიშნო, რომ თუ-მცა, პრინციპში, ვეთანხმები ანდაზას „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო“, წინამდებარე ანალიზის მკითხველად ყველას არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ ადამიანთა მხოლოდ იმ ერთ-ორ პროცენტს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ბედზე ფიქრი ჩვევად აქვს და, რომელიც ამიტომ სხვაზე მეტადაა ვალდებული, განსაცდელში ცივი გონება და აწონ-დაწონის უნარი შეინარჩუნოს. უფრო ზოგადადაც ვიტყვი: დღეს, როცა ერთ მხარეს ხელოვნური ეკონომიკური ნგრევისაგან გამწარებული ქართველი ხალხი დგას, მეორე მხარეს კი კანონიერ და უკანონო ავტომატებსა და ხელკეტებს ამოფარებული ხელისუფლება, ჩემის აზრით, საერთოდ არაა მასობრივი პოლიტიკური აქტივობის დრო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დღეს პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის (ანუ: დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის) ბრძოლის იმ საფეხურზე ვართ მობრუნებული, როცა ეს ამოცანები მეტ-ნაკლებად ელიტარული ამოცანებია. მოვლენათა სწორი ანალიზიც, რაც წინამდებარე წერილშია ნაცადი, ამ ამოცანათა ერთ-ერთი ელემენტია.

წინამდებარე წერილში შეგნებულად არ ვიხმარ სიტყვებს „ღალატი“, „დანაშაული“, „შეცდომა“ და „დანაშაულებრივი შეცდომა“, რადგან, ჯერ ერთი, უდანაშაულობის პრეზუმპცია აუცილებელი მგონია არა მხოლოდ იუსტიციის სფეროში, არამედ ზნეობის სფეროშიც. მეორეც, იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, ისტორია ზემოხსენებულ მძიმე სიტყვებს ადამიანთა ბევრად უფრო ფართო წრის მიმართ გამოიყენებს ახლო მომავალში, ვიდრე ახლა ჩანს, და ბევრ ისეთ ვინმესაც განიკითხავს უწყალოდ, ვისი ბრალეულობაც რაღაცის ქმნაში კი არა, არამედ, პირიქით რაღაცის არქმნაში მდგომარეობს.

ჩვენი მსჯელობა ვითარების მხოლოდ რამდენსამე ძირითად პარამეტრს შეეხება.

I. „ცივი ომის“ შედეგები

ერთ-ერთი ძირითადი ილუზია, რომელიც დღეს გავრცელებულია ქართველ საზოგადოებაში, ისაა, რომ „ცივი ომი“, ანუ შეიარაღებათა ტექნიკური და ეკონომიკური დოღი „ნატოს“ ბლოკსა და „სოციალისტურ ბანაკს“ შორის მხარეთა დაზავებით დამთავრდა. ეს ასე არ არის. „ცივი ომი“ დამთავრდა არა დაზავებით, არამედ დასავლეთის ბლოკის გამარჯვებით. დასავლეთმა ეს იცის კიდეც და ამბობს კიდეც და ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია ჩაეხედოს ნებისმიერ სერიოზულ პუბლიკაციას სტრატეგიისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე. „ვარშავის პაქტის“ დაშლაც და საბჭოთა კავშირის დაშლაც ამ ისტორიული გამარჯვების შედეგია. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო ისტორიულად: ჯანსაღმა ეკონომიკურმა სისტემამ („თავისუფალი ეკონომიკისამ“) აჯობა არაჯანსაღსა და, აქედან გამომდინარე — აგრესიულ სისტემას („სოციალისტურს“), უფრო ძლიერმა გეოპოლიტიკურმა ერთეულმა (დასავლეთმა) — ნაკლებ ძლიერს. ისტორიული ინიციატივა დღეს იმ გამარჯვებულს აქვს ხელთ. პროცესი არ გაჩერებულა. იგი გრძელდება. და ვისაც ჰსურს პრაქტიკულად სწორი დასკვნის გაკეთება თავის ქვეყნისთვის უმჯობესი კურსის შესახებ, იმან ეს რეალობა სწორად უნდა გაითვალისწინოს.

ცხადია, „ცივ ომში“ წაგებულ მოწინააღმდეგეს არავინ ეტყვის „მოგიგეო“ და ამით ე. წ. ღირსეული უკანდახევის საშუალებას არავინ წაართმევს. პირიქით: მას ეტყვიან „რა ბრძნულად მოვიქეცით ორივენი, რომ დავზავდითო!“. აქედან — ლამაზი ლეგენდა, რომ „ცივი ომი“ დიპლომატიური ხელოვნების სასწაულმა დაამთავრა — რომ ბერლინის კედელი ერთმა ქართველმა (სტალინმა) აღმართა, მეორემ კი (შევარდნაძემ) დაანგრია. ბერლინის კედელი რომ მართლაც სტალინმა ააგო (თუშცა ფიზიკურად იგი მისი სიკვდილის შემდეგ აშენდა), ეს ფაქტია, რამდენადაც ამ კედლის აგება მხოლოდ სტალინისა და მისი ქვეყნის ნებით მოხდა პარტნერი ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი...) ნების საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება ამავე კედლის დანგრევას, იგი საბჭოთა კავშირის პარტნერი ქვეყნების ნებას შეესაბამებოდა და სსრკ-საგან, თანხმობის გარდა, სხვას არაფერს მოითხოვდა, ისევე როგორც მშვიდობის მხსნელი მთელი რიგი სხვა ნაბიჯებისა, რომელიც იმ ხანად გადაიდგა. ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ბედმაც დიდად გაუღიმათ, თავის თანამედროვე იმპერიული ისტორიული ცნობიერების წინაშე „თავის გამართლების“ თვალსაზრისით, როცა იმ წლებში, რომლებშიც საგარეო დათმობათა გრძელი სერია ელოდათ, საგარეო სამინისტროს სათავეში უცხო ტომის კაცი აღმოჩნდათ.

თქმული, რასაკვირველია, არც იმას ნიშნავს, რომ შევარდნაძის როლი „ცივი ომის“ მშვიდობიან დამთავრებაში ადვილი იყო, და არც იმას, რომ გორბაჩოვისდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების გონივრული გადაწყვეტილება, დროზე დაეხია უკან — უმნიშვნელო იყო. ეს უკანდახევა თავის დროზე რევოლუციური ნაბიჯი იყო, ხოლო თუ მას განვიხილავთ რუსეთისავე სხვა ძალებთან მიმართებაში — დიდად გაბედულიც. თქმული მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ვითარებები მსოფლიო პოლიტიკას უფრო ფუნდამენტურად მართავს, ვიდრე ეს ამა თუ იმ ადამიანის სასწაულებრივ დიპლომატიურ ნიჭს ძალუძს, და რომ მათი პროგნოზირება სასწაულთა გარეშე შეიძლება.

ზემოხსენებული ბავშვური ზღაპარი — მსოფლიოსთვის საქართველო დღეს შევარდნაძის ქვეყანაა (თუ გვახსოვს: ადრე იგი „სტალინის ქვეყანა“ იყო) და ჩვენი ხსნა მხოლოდ შევარდნაძის სახელს ამოფარებით შეიძლებაო — დღეს ჩვენ ქვეყანაში ლამის სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი. ეს ვერსია ერის ცნობიერებისა და ნების დამთრგუნველი ფაქტორია ისეთ ქვეყანაში, რომელშიც, რიგი გარემოებების გამო, ბელადმანია ყველაზე უფრო გავრცელებულ დაავადებათა რიგში დგას. სინამდვილეში საქართველო მსოფლიოსთვის ერთ-ერთი პატარა, მაგრამ თავისებურად მნიშვნელოვანი სახელმწიფოა, ამიერკავკასიის სტრატეგიული გასაღები, ოდესღაც მაღალკულტურული ძველი ერის სამშობლო, დღეს დემოკრატიული ან კომუნისტურ-ფაშისტური, სტაბილური ან არეული, ეკონომიკურ პარტნერად ვარგისი ან უვარგისი, გონიერი ან სამოქალაქო ომებით მოცული და ა. შ. ა. შ. ჩვენი ადგილი მსოფლიოში — და, სხვათა შორის, ჩვენი პრესტიჟიც — იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორნი ვიქნებით ყველა ამ პარამეტრებში და რა პოზიციას დავიჭერთ ჩვენ გარშემო მიმდინარე მსოფლიო-ისტორიული პროცესების მიმართ. შევარდნაძის პრესტიჟს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ პრესტიჟი ვერ გადასწონის თავისი მნიშვნელობით სწორ პოლიტიკურ არჩევანს. პრესტიჟი პლუს არასწორი პოლიტიკა ვერ მოიტანს იმ ნაყოფს, რეს მოცემაც პრესტიჟმოუპოვებელი მმართველის ან ჯგუფის გატარებულ სწორ პოლიტიკას ძალუძს.

II. აფხაზეთის პრობლემა

იმისთვის, რომ ჩრდილო კავკასიის ურჩი ხალხები დასაჯოს და ამით თავისი საკუთარი ზონა კიდევ ერთხელ შემოიმტკიცოს, რუსეთს სჭირდება იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძველი მსოფლიოს თვალში. ასეთ საფუძვლად ვერ გამოდგება მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩეჩნეთი სამართლებრივად რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია: ჩეჩნები (ქრისტებთან, ბალყარელებთან და ყარაჩაელებთან ერთად) რუსეთმა გაასახლა 1943 წელს და ამით ისეთი დანაშაული ჩაიდინა ადამიანობის მიმართ, რომელიც ცას შეჰღაღადებს. ამ ხალხთა მიმართ ახალი რეპრესია რუსეთისთვის ადვილი არ არის. ვერც იმას იტყვის ვინმე დაბეჯითებით, რომ ამ ხალხთა ქვეყნების ყოფნა რუსეთის შემადგენლობაში სამართლიანია, ვინაიდან მათი დაპყრობა და ნაწილობრივ გასახლება თურქეთში (XIX ს), შეიძლება ითქვას, ჩვენს თვალწინ მოხდა. რჩება ერთადერთი გზა: კავკასიის ხალხთა მისწრაფებას ეროვნული თავისუფლებისადმი „სეპარატიზმი“ უნდა დაერქვას და სეპარატიზმმა, როგორც მოვლენამ (ზოგადად), პირსისხლიანი სეპარატიზმის „იმეჯი“ უნდა მიიღოს. აფხაზეთში ომის დაწყებამ და მისმა იმგვარად წარმართვამ, როგორც იგი ფაქტობრივად წარიმართა, რუსეთს ორგვარი პოლიტიკური მოგება მოუტანა (გეოპოლიტიკურის, ტერიტორიულის და სტრატეგიულის გარდა): ჯერ ერთი, რაკი აფხაზეთიც ავტონომიური რესპუბლიკა იყო სსრკ-ს დროს და ჩეჩნეთიც, მათი სტატუსი არა მარტო სამართლის, არამედ სამართლიანობის თვალსაზრისითაც თითქოს გათანაბრდა და ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთში რუსები, აფხაზეთში ქართველებისაგან განსხვავებით, დამპყრობელი უცხოელნი არიან, მიიჩქმალა. მეორეც, ქართველების წინააღმდეგ ჩატარებული გენოციდით სეპარატიზმს, როგორც ასეთს, ამორალობის (კაციჭამიობის) ბეჭედი დაეკრა და რუსეთს დღეს საბაბი აქვს თავის მომავალ ექსპედიციას ჩეჩნეთისაკენ „იდეოლოგიურ მომზადებად“ წაუმძღვაროს ლოზუნგი „შევებრძოლოთ ფუნდამენტალისტურ სეპარატიზმსო“. გაგრაში რომ ქართველი მოსახლეობა მასობრივად არ დაეხვრიტათ ან სოხუმში გულუბრყვილოდ დაბრუნებული ქალები და ბავშვები რომ არ ემსხვერპლათ, სეპარატიზმის სისხლიან მოქმედებას ასეთი შთამბეჭდავი მასშტაბი არ ექნებოდა. არც ელცინის მოპირისპირე რუცკოი-ხაზბულატოვის ჯგუფის დანაშაულებრიობა გამოჩნდებოდა ესოდენ მკვეთრად, რუსეთის პარლამენტის დამცველთა შორის რომ აფხაზეთში სისხლდალეული

გაგრძელება მე-5 გვ.

ერთი „უწყინარი“ ინფორმაციის გამო

გაზეთ „თბილისის“ ა.წ. 14 მარტის ნომერში პირველ გვერდზე რუბრიკით — „ექსპრესინფორმაცია“, გამოქვეყნებულია ერთი შეხედვით მართლაც უწყინარი ინფორმაცია. როგორც გაზეთი იუწყება ამ დღეებში თბილისში გამართულა მოქალაქეთა კავშირის საქალაქო ორგანიზაციის წევრთა შეკრება, რომლის ძირითადი მიზანი ლტოლვილების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ყოფილა. შეკრებაზე ბევრ საჭირბოროტო საკითხზე უმსჯელიათ, მრავალი „საინტერესო“ მოსაზრებაც გამოუთქვამთ, და შეიძლება ითქვას საკითხის მოგვარების „ორიგინალური“ გზისთვისაც მიუგნიათ: თურმე აუცილებელი ყოფილა ლტოლვილების თბილისიდან სასწრაფოდ გაყვანა და მათი რაიონებში განაწილება. პერსპექტივაში უნდა ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციას არც ამ კავშირის რაიონული ორგანიზაციები ჩამორჩებიან და ისინიც დაყენებენ საკითხს მათი რაიონებიდან ლტოლვილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, ასე და ამრიგად რაიონიდან — რაიონში ხეტიალით თავმობეზრებული ლტოლვილები ბოლოს იძულებული გახდებიან დაუბრუნდნენ თავიანთ მამა-პაპისეულ საცხოვრებელ ადგილებს.

აფერუმ მოქალაქეთა კავშირის ქალაქელო წევრებო! საკითხის გადაწყვეტაც ამას ჰქვია. იმედია მომავალში თქვენი „გენიალური“ გეგმით შინ დაბრუნებული თანამემამულეების უსაფრთხოებაზეც იფიქროთ.

მოქალაქეთა კავშირში — ქალაქური შირმით

დღითი-დღე ძალას იკრებს პირდაპირ, როგორც ზღაპრებში დევი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, კავშირი, რომლის შექმნაში ლომის წილი სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ჩვენს ცნობილ ინტელიგენციასაც უდევს. განსაკუთრებით აქტიურად საქმეში ე. წ. ქალაქური ინტელიგენცია ჩაერთო. ამაში თითქოს უცნაური და საკვირველი არაფერია, ყველას აქვს უფლება შევიდეს და გაერთიანდეს ნებისმიერ პარტიასა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მისი საკუთარი შეხედულებისდა მიხედვით. საქმე იმაში გახლავთ, რომ თურმე მოქალაქეთა კავშირი მის თბილისელ წევრებს ქალაქელთა კავშირი ჰგონიათ. ამ რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით გადაიცა რუსეთის ტელერადიოკომპანია „ოსტანკინოს“ მიერ მომზადებული გადაცემა „გაჩუმება — ოქრო არ არის“, რომელშიც თბილისელ მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამბობს: საქართველოში „შეიქმნა ქალაქელთა კავშირიო („союз горожан“-ო ამ ფრაზას ორჯერ იმეორებს). ბუნებრივია, დაგვებადა ეჭვი: ქალაქელთა კავშირი რომ ჰქვია იმიტომ ხომ არ აწყდებიან თბილისელები ამ კავშირს? არადა გვინდა შევახსენოთ ჩვენს ძვირფას თანაქალაქელებს, რომ მოქალაქეთა კავშირს „ქალაქელთა კავშირთან“ არაფერი აქვს საერთო და მასში შესვლა (როგორც თავის დროზე კომპარტიაში) თანაბარი უფლებითა და პატივით შეუძლიათ როგორც ქალაქელებს, ასევე ნებისმიერი სოფლისა თუ რაიონის წარმომადგენლებს.

მ. ღვინიაშვილი

მორიგი მინვევა

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა, სახალხო ფრონტის დარბაზის წევრმა ბატონმა რომან გოცირიძემ, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკში იმყოფება მიიღო შეტყობინება ადმინისტრაციულ მეცნიერებათა საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური დირექტორის ტურკია ოულდ დადაპისაგან, რომელიც წერს:

„მაქვს პატივი და სიამოვნებით გიწვევთ თქვენ, რათა მიიღოთ მონაწილეობა მრგვალ მაგიდაში, რომელსაც ატარებს ადმინისტრაციული საერთაშორისო ინსტიტუტი 1994 წლის 5-დან 8 ივლისამდე ჰელსინკში (ფინეთი) თემაზე: სახელმწიფო, ბაზარი და განვითარება. მრგვალი მაგიდა შესდგება ამ ინსტიტუტის ფინეთის ეროვნული სექციის, ფინანსთა სამინისტროსა და ფინეთის განვითარების ადმინისტრაციული სააგენტოს მოწვევით.

ძირითადი საკითხი შესწავლილი იქნება ხუთი კომისიის ფარგლებში:

1) სტბაზრო ეკონომიკა და მისი პრინციპები

2) საბაზრო ეკონომიკა და მისი მართვა

3) საბაზრო ეკონომიკა, მართვა და საზოგადო ხელისუფლების რეგულირება

4) საბაზრო ეკონომიკა და საერთაშორისო რეგულირება

5) საბაზრო ეკონომიკა და ადამიანთა უფლებები

მრგვალი მაგიდა უზრუნველყოფს შესაძლებლობას, ყველა ქვეყნის პრაქტიკოსებმა და მეცნიერებმა გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და გამოკვლევანი სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის რთულ ურთიერთობათა უკეთესი შემეცნების მიზნით, თუ რა როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფო სექტორმა ეკონომიკურ განვითარებაში, ისევე როგორც სახელმწიფოთა შორის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობაში, აგრეთვე საერთაშორისო სისტემის მზარდი მნიშვნელობა ამ პროცესში.

ჩატარდება სპეციალური სესიები სახელმწიფოთა კერძო სექტორების მმართველთა მონაწილეობით, რომლებიც გააკეთებენ მოხსენებებს არსებულ რეალობათა შესახებ. და ბოლოს, შესდგება პლენარული სხდომა სკანდინავიის ქვეყნებში უახლოესი განვითარების შესახებ.

ვითვალისწინებთ რა თქვენს გამოცდილებას და ცოდნას დიდად მოხარული ვიქნებით თუ მიიღებთ ჩვენი ინსტიტუტის მოწვევას“.

ტუალეტში აგენტი 00-ი იჯდა

23 მარტს ნაშუადღევს სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში აღმოაჩინეს ჯერჯერობით დაუდგენელი სპეცსამსახურის აგენტი, რომელიც მიკროტალღური რაციით რაღაც ცნობებს გადასცემდა. უნდა ვიგულისხმოთ იმათ, ვინც ის აქ გამოგზავნა. სახალხო ფრონტი მიჩვეულია ტოტალურ თვალთვალს. არცთუ იშვიათად აფეთქებებსაც. აგერ უკვე მესამე ხელისუფლების დღეები იწურება საქართველოში, მაგრამ ფრონტელებმა ვერცერთის გუნების მოგება ვერ შეძლეს. ამდენად ეს არ გვიკვირს, არც ის, რომ ხსენებული აგენტი ფრონტის სხდომათა დარბაზში რესპუბლიკელთა პარტიის შეკრებას დაესწრო. ფრონტისა არ იყოს, არც რესპუბლიკელებს სწყალობენ. საკვირველი სწორედ ის არის, თუმცა იქნებ არც არის, რომ აგენტი 00 ტუალეტს ხმარობდა პატრონებისათვის ინფორმაციის გადაცემის ადგილად. სწორედ იქ იქნა აღმოჩენილი. მაგრამ სამწუხაროდ ვერ დაკავებული.

საქართველოს უშიშროების სამინისტროსთან დაკავშირებამ ის შედეგი გამოიღო, რომ მისი მესვეურები შეგვპირდნენ, რომ ამ აგენტს გავშიფრავთ და დედასაც ვუტირებთო.

სულ ტუალეტებში ამყოფოს ღმერთმა ამ კატეგორიის აგენტები. მეტის ღირსნი არც არიან და არც ყოფილან...

რამდენი ყაჩაღი სჭირდება საქართველოს?

გზებს, საავტომობილო იქნება ის, სარკინიგზო თუ სამდინარეო სახელმწიფოს სასიცოცხლო არტერიებს ეძახიან და ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში განსაკუთრებულ ყურადღებასაც აქცევენ, მაგრამ ეს ნორმალურ ქვეყანაში. რაკიღა ჩვენ არანორმალურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რა თქმა უნდა, გზებიც არანორმალურ მდგომარეობაში უნდა გვქონდეს (მარტო ბიტუმის საფარი არ იგულისხმება), მაგრამ ის, რაც დღეს ჩვენს გზებზე უბედურება ტრიალებს გინესების რეკორდების წიგნშიც კი გასაოცრად ჩაითვლება, გასაოცართა შორის.

მიუხედავად ხელისუფლების მიერ გამოცხადებული კამპანიისა გზებზე წესრიგის დამყარების შესახებ, არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. პირიქით, წესრიგის დამყარების საბაბით შარაგზებზე გამოფენილი ფორმიანი თუ უფორმო ყაჩაღები ისეთ რამეს სჩადიან, შავი სამყაროს წარმომადგენლებს სად მოაფიქრდებათ, თუმცა ახლა სადღაა საზღვარი შავებს, წითლებსა და სხვათა შორის.

გორის შესასვლელთან, იქ, სადაც ციხისაკენ ზურგშექცეული, ლომზე ამხედრებული ჭაბუკი ლიახვის ტალღებს გადასცქერის, ორმა მილიციის თუ პოლიციის ფორმიანმა ახალგაზრდამ სამაჩაბლოდან მომავალი ავტობუსი გააჩერა. ერთ-ერთი მძღოლი „კანარეიკაში“ გაჯგიმულ „წესრიგის დამცველებს“ ეახლა და უკან მალევე მობრუნებულმა, გულშემოყრილმა მოახსენა მეწყვილეს — ძალიან ბევრს თხოულობენო.

ორივე სავაჭროდ წავიდნენ, მაგრამ არც მათმა, არც ჩაშველებული მგზავრების თხოვნამ არ გასჭრა — წესი წესიაო და შესრულდა კიდეც.

ორიოდე საათის შემდეგ თბილისის შემოსასვლელში, დავით აღმაშენებლის ხეივნად მონათლულ გზის მონაკვეთზე, დავითის შთამომავალთაგან ერთ-ერთმა (ავტობუსის მძღოლმა) ტრასის გარდი-გარდმო „გადახიდებული მილიციის ავტობუსის ლია კარებში მარცხენა ხელის მუჭი შეჰყო, უკან გაშლილი მტევანი გამოიღო და ყოველგვარი დავა-კამათისაგან ნერვებაუშლელად მანქანაში თავისი ადგილი დაიკავა. — შეაწია, კბილებში გამოსცრა ერთმა მგზავრმა.

მოკლედ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა წესრიგის დამყარებად, მძღოლებსა და მათ შორის გაჩაღებულ აღებ-მიცემობისათვის ოფიციალური სახის მიცემა მიიჩნიეს და წარმატებითაც ართმევენ თავს საქმეს.

ეს სტრიქონები მძღოლების გამოსასარჩლებლად არ იწერება, თუმცა ისინი მთლიანად საკუთარ უნარს მინდობილნი დაატარებენ მოძველებულ ავტობუსებს რესპუბლიკის ტრასებზე. ახლა აღარც საწვავს იძლევა ვინმე, აღარც საბურავს და სათადარიგო ნაწილებს. ყველაფერი ეს, მძღოლმა მგზავრების, უკვე შიმშილისაგან უკიდურესობამდე მისული მგზავრების კისრიდან უნდა ამოიღოს. დავუმატოთ ამას მძღოლის ცოლ-შვილისა და გზის ყაჩაღის ხარჯები და გადაწყდომასაა ხალხი. ამიტომ თხოვნით მივმართავთ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტროს, ბატონ შოთა კვირაიას, კოლეგიის სხდომაზე დაადგინონ ტრასებზე ყაჩაღთა დასაშვები რაოდენობის კვოტა. მძღოლმა უნდა იცოდეს რამდენჯერ და რამდენს წაართმევენ. ეს მგზავრმაც უნდა იცოდეს, რათა მძღოლმა არ მოატყუოს — ბევრს მახდევინებენ და რა გიყოო, და საერთოდ, ყველამ უნდა ვიცოდეთ — რამდენი ყაჩაღი სჭირდება საქართველოს? ღმერთმა დაგვიფაროს სულ მათ გარეშე დავრჩეთ. წარმოვიდგინოთ, ერთ დღეს აღარ არიან ყაჩაღები გზებზე, მთავრობაში, პარლამენტში, დამერწმუნეთ უსაშობლობის გრძნობა დაგვეუფლება, ამაზე საშინელი კი არაფერია.

მზრაბ მაისურაძე

«ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩასხმა არ შეიძლება»

საპარლამენტო ფრაქცია «რესპუბლიკელების» წევრის ივლიანე ხაინდრავას სიტყვა პარლამენტის სხდომაზე 1994 წლის 22 მარტს

პარლამენტის წინაშე დღეს დასმულ საკითხს — მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას — თავისი წინაისტორია აქვს, რომელზედაც მოკლედ გვინდა შეჩერდეთ. ჯერ კიდევ 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში ამ პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის პირველი შემადგენლობის ფორმირებისას დავსვით საკითხი კაბინეტის რიცხობრივი შემადგენლობის შემცირებისა და ფუნქციური დატვირთვის გადააზრების აუცილებლობის შესახებ. მაგრამ მაშინ, თითქმის ყოველი წამოწყებული კანდიდატურის ტაშის გრიალში დამტკიცებისას, ჩვენს მოსაზრებებს ცოტა ვინმემ თუ ათხოვა ყური. მოვლენათა განვითარებამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა ჩვენს სისწორეში და აპრილის მიწურულს დავსვით საკითხი მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და პერსონალური შემადგენლობის გადახალისების მიზნით კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ივნისის თვეში კი წარვადგინეთ პარლამენტში და გამოვაქვეყნეთ პრესაში კანონპროექტი მინისტრთა კაბინეტის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სულ 14 სამინისტროს და პრემიერ-მინისტრს. ერთ-ერთ მინისტრთაგანს შეიძლება დაკისრებოდა პრემიერის მოადგილის ფუნქციები შესაბამის შემთხვევაში.

რაიმე სერიოზული კონტრარგუმენტაცია ჩვენს კანონპროექტს არ შეხვედრია. ერთადერთი, რაც მის საწინააღმდეგოდ ითქვა, იყო ის, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, როცა ჩვენ შეგვიძლია მსგავს პროგრესულ სისტემაზე გადასვლა, ხოლო პროექტს „მომავლის პროექტი“ ეწოდა.

სერიოზული კონტრარგუმენტაცია ვერც მოიძებნებოდა, ვინაიდან კანონპროექტზე მუშაობისას ჩვენ გავაანალიზეთ არა მხოლოდ ჩვენი, არამედ სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და გაკვეთილები, გავითვალისწინეთ საქართველოში ჩამოსული უცხოელი ექსპერტების ერთსულოვანი აზრი სამთავრობო სტრუქტურების რეორგანიზების აუცილებლობის შესახებ.

საერთოდ, ცოტა არ იყოს ღია კარების მტვრევა გამოდის. ჯერ კიდევ ბიბლიაშია მოხსენიებული, რომ ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩასხმა არ შეიძლება. ასევეა ამ საკითხშიც: როგორ შეიძლება ახლის შექმნა ძველი სტრუქტურებით, ძველი კადრებითა და ძველი მიდგომებით, ჩვენთვის გაუგებარია. აკი არც იქმნება კიდეც?! რეფორმებზე საუბარი ანტირეფორმატორული მთავრობითა და რეფორმების პროგრამის არარსებობის პირობებში საუბრადვე რჩება. ხოლო თუ ჩვენს ხელმძღვანელობას სურს რეფორმებზე ლაპარაკით შენიღბოს საბჭოთა სოციალისტური სისტემისა და ადმინისტრაციულ-მმართველობითი ეკონომიკის რესტავრაციის მცდელობა, ესეც ფუჭი საქმეა. საქართველო ვერ ააშენებს საბჭოთა სოციალიზმს ცალკე აღებულ ქვეყანაში, ვინაიდან ეს სისტემა ჩიხში მოექცა, მან ამოწურა თავისი შესაძლებლობები და საბჭოთა კავშირის რღვევის უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ.

მაგრამ დაუუბრუნდეთ მოვლენათა განვითარებას. 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩამოყალიბებული კაბინეტი 1993 წლის ივლისში გადადგა და თითქოსდა შეიქმნა პირობები ახალი კაბინეტის ახალ პრინციპებზე ჩამოყალიბებისა. მაგრამ, ნურას უკაცრავად. ახალი კაბინეტი კიდევ უფრო გაურკვეველი პრინციპით ჩამოყალიბდა როგორც სტრუქტურული და ფუნქციური, ისე საკადრო თვალსაზრისით. გაიზარდა ვიცე-პრემიერთა რიცხობრიობა; სამინისტროთა რიცხვის ვითომც და შემცირება სინამდვილეში მათი რაოდენობის გაზრდა იყო, ვინაიდან სამინისტროებისა და კომიტეტების პარალელურად შეიქმნა დამოუკიდებელი დეპარტამენტები უშუალოდ მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში, რომელნიც, არსებითად, იგივე სამინისტროების ფუნქციებს ასრულებენ. ამრიგად, სხვა, დაახლოებით ამავე რანგის უწყებებთან ერთად, როგორსაც წარმოადგენენ მაგალითად სახელმწიფო კორპორაციები, სამინისტროთა რიცხვმა პატარა საქართველოში. 40-ს გადააჭარბა! გარდა იმისა, რომ სრულიად გაუგებარია **რას** ხელმძღვანელობს ეს ორმოცდაათმდე უწყება ამ დანგრეულ და ნახევრადდაშლილ ქვეყანაში, გასაგებია ისიც, თუ **როგორ** ხელმძღვანელობენ, ვინაიდან ყველანი ვართ ერთიანნი იმ აზრში, რომ ქვეყანა მართლაც დანგრეული და ნახევრადდაშლილია. ამას დაუმატეთ ისიც, რომ თითოეული ამ უწყებათაგანი, ეს არის არც თუ მცირე ბიუროკრატიული აპარატი, რომელსაც ცხოვრება უნდა, ანუ ესაჭიროება საარსებო წყაროები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მინისტრისა და პარლამენტარის ხელფასი ერთნაირია და დღეს შეადგენს 310 000 კუპონს, ხოლო სამინისტროების **უფრო** დაბალი რანგის **მოხელეების ხელფასი** შესაბამისად ნაკლებია, **გამოდის, რომ ჩვენი ხელისუფლება** თავადვე **ქმნის** კორუფციის **მძლავრ** ბაზას. ამას დაუმატეთ **კიდევ** სახელმწიფოს მეთაურის საკმაოდ მრავალრიცხოვანი აპარატი, სახელმწიფო მრჩეველების უკიდეგანო ინსტიტუტი, სხვადასხვა შტაბების, დროებითი და უდროო კომისიების, საბჭოების აპარატები და დარწმუნდებით, რომ ერთადერთ, რაც დღეს რეალურად იქმნება საქართველოში ეს სწორედ ბიუროკრატიული სისტემაა. სისტემა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზეა, მაგრამ რომელსაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები არამც და არამც არ ეყოფა. მაშასადამე, საჭიროა ამ დანაკლისის შევსება. როგორ ფიქრობთ, რის და ვის ხარჯზე? ასეთი მიდგომით ვაპირებთ დაშნაშვილებასთან და კორუფციასთან ბრძოლას? ხომ ცხადია, რომ გაბერილი ბიუროკრატიული სისტემა მექრთამეობის უპირველესი წყაროა!

ცხადია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა სახელმწიფო მოხელე დავადანაშაულოთ არაკეთილსინდისიერებაში. პირიქით, არიან თავისი საქმის კარგი სპეციალისტებიც, მაგრამ ისინი იკარგებიან ძველი სკოლის ბიუროკრატთა ზღვაში და იმ „уравниловк“-ის მსხვერპლნი ხდებიან, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის. არ სჯობია განა, რომ სამთავრობო უწყებები შემცირდეს რიცხობრივად, დაიწმინდოს, სამუშაოდ დარჩეს ნაკლები ხალხი, მაგრამ ისეთი, ვინც რეალურად საქმის გამკეთებელია, ხოლო ამ ხალხს ისეთი პირობები შევუქმნათ შრომისა და შრომის ანაზღაურებისა, რომ სხვათა შემყურე არ იყვნენ?

ახლა საკითხის მეორე მხარე. რამდენი ხანია ვასაბუთებთ (და არა მხოლოდ ჩვენ), რომ მთავრობა კაბინეტური პრინციპით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მარტივად ეს ნიშნავს შემდეგს: თხუთმეტი იქნება თუ ოცი კაცი, რომელიც აპირებენ მართონ ქვეყანა (ქვეყანას კი სწორედ მთავრობა მართავს და არა პარლამენტი ან სხვა რომელიმე ორგანო თუ პირი, ყოველ შემთხვევაში ეს ასე უნდა იყოს), აი ეს თხუთმეტი კაცი უნდა შეიკრიბოს, შეთანხმდეს ყველა ძირითად საკითხზე, ჩამოაყალიბოს პროგრამა და ამ პროგრამის მიხედვით უნდა დაიწყოს ქვეყნის მართვა, რეფორმების გატარება, ერთმანეთში შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება. არ არის საჭირო, რომ ეს თხუთმეტი კაცი, რომელსაც მინისტრთა კაბინეტი დაერქმევა, აუცილებლად გენიოსები იყვნენ. საჭიროა, რომ ისინი იყვნენ სადად და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც აქვთ ერთი მიზანი, ამ მიზნის მიღწევის სურვილი და უნარი, და რომლებიც ყველა ერთად და ცალ-ცალკე თავიანთ უბნებზე ერთსა და იმავე საქმეს გააკეთებენ. შესაძლებელია მათ შიერ დასახული პროგრამა არც კი იყოს აბსოლუტურად ოპტიმალური ან უშეცდომო. მაგრამ, ვიმეორებ, ისინი ერთს რამეს უნდა აკეთებდნენ, ანუ მათი საქმიანობის ვექტორი ერთ მხარეს უნდა იყოს მიმართული და არა სხვადასხვა მხარეს, როგორც ეს დღეს ხდება და რის შედეგადაც სხვადასხვა მხარეს მიმართულ ვექტორთა ჯამი ერთი ადგილის ტკეპნას გვაძლევს საუკეთესო შემთხვევაში, რეალურად კი — უკუსვლასაც. აი, ამას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ მინისტრთა კაბინეტი უნდა იყოს რაოდენობრივადაც შეზღუდული, მობილური, კოლექტიური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბალანსზე აგებული თანამოაზრეთა გუნდი. ვფიქრობთ, რომ აქ არც კი შეიძლება რაიმე იყოს საკამათო, თითქოს არც გვეკამათებიან ამაში, მაგრამ საქმე კი საპირისპიროდ კეთდება. რესპუბლიკური პარტიის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურის მიხედვით (ან მის საფუძველზე მაინც) გუნდურობის, თანამოაზრეობის — პირველ რიგში ეკონომიკური რეფორმის სფეროში — პრინციპზე რომ დაწყებულიყო კაბინეტის ჩამოყალიბება, ჩვენ მზად ვიქნებოდით ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვანაირი ფორმით. სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ და სრულიად გაურკვეველი რჩება თუ როდის დადგება ის მომავალი, როცა „მომავლის პროექტს“ გზა გაეხსნება. უფრო მეტიც — ამ მომავალს თანამიმდევრულად ვშორდებით.

დღეს სახელმწიფოს მეთაური გვთავაზობს პრაქტიკულად იმავე მთავრობას, რომელიც ნახევარ წელიწადზე მეტია მართავს ქვეყანას და რომლის წევრთა ნაწილს ის ერთიანებს მხოლოდ, რომ კომკავშირული და პარტიული (იგულისხმება კომუნისტური პარტია) მუშაობის საკმაო სტაჟი აქვთ. ამ მთავრობის მმართველობის პერიოდში კუპონი გაუფასურდა 40-ჯერ! ვიმეორებ — შვიდ თვეში ორმოცჯერ! და ამ მთავრობამ არამც თუ არ ან ვერ გაატარა ქმედითი ღონისძიებები ამის საწინააღმდეგოდ, არამედ თუნდაც ქაღალდზე ვერ შეიმუშავა ასეთი ღონისძიებების ნუსხაც კი! ვერ იქნა უზრუნველყოფილი ისეთი აუცილებელი რამ, როგორიცაა კუპონის ერთადერთ საგადახდელო საშუალებად რეალურად დაფიქსირება, რის გამოც ხალხის გალატაკებამ უკიდურეს ზღვარს გადააჭარბა, ხოლო ეროვნულ ვალუტას ძირი გამოეთხარა. აბა ნახეთ, როგორ არის საქმე ეროვნულ ფულის ნიშანთან დაკავშირებით თუნდაც მოლდოვაში! კონკრეტული წინადადებები კი იყო, მათ შორის ჩვენი მხრიდან, როგორც ამ ტრიბუნიდან (ვახტანგ ხმალაძის, ვახტანგ ძაბირაძის, ჩემი გამოსვლები), ისე პრესის ფურცლებიდან შემოთავაზებული. მაგრამ ამაზე მაშინ, როცა მინისტრთა ანგარიშებზე მიდგება საქმე.

ხაზი გვინდა გავუსვათ — დღევანდელ მთავრობაზე საუბრისას ჩვენ სრულიად გამოვრიცხავთ პიროვნულ მომენტებს. მთავრობაში ბევრია ადამიანი, რომელსაც ჩვენ პიროვნულად პატივს ვცემთ. არიან ისეთებიც, ვისაც პატივს არ ვცემთ. მაგრამ ახლა პატივისცემაზე, მეგობრობაზე, სიყვარულსა და კაიბეჭობაზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია ქვეყნის მართვაზე, მის გადარჩენაზე. ჩვენი აზრით კი დღევანდელი მთავრობა ამ ამოცანას თავს ვერ [illegible] ვფიქრობთ, რომ [illegible] აზრი როდია ასეთი.

მაგრამ პარლამენტში საქმიანობის წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ ერთ რამეში დავრწმუნდით: რაც არ უნდა კეთილი ზრახვები გვამოძრავებდეს, რაც არ უნდა შესანიშნავი კანონპროექტები და კონცეფციები წარმოვადგინოთ, რაც არ უნდა ვიბრძოლოთ თავდაუზოგავად იმისათვის, რაც სწორი და აუცილებელი გვგონია, ათკაციანი ფრაქცია — ათი კაცი ვართ პარლამენტში რესპუბლიკელები, — ან თუნდაც ოპოზიცია მთლიანად, რომელიც არ არის და არც შეიძლება იყოს ორგანიზაციულად ერთიანი, ვინაიდან მრავალპარტიულია თავისი შემადგენლობით და ზოგმა პარტიამ გაიარა გზა უმრავლესობიდან ოპოზიციამდე, ხოლო ზოგი, ასე სჩანს, ახლა იწყებს გზას ოპოზიციიდან უმრავლესობისკენ, ვერას გახდება უმრავლესობის წინააღმდეგ. საბოლოო ანგარიშითაც უმრავლესობას გააქვს თავისი, და 1 მარტის სხდომამ ეს თვალნათლივ დაადასტურა. მაგრამ, პასუხისმგებლობაც უმრავლესობას ეკისრება და არა ოპოზიციას. **დიახ, ქვეყანას უშუალოდ მართავს მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი და არა პარლამენტი. და ალმასრულებელი ხელისუფლებაა უპირველესი დაშნაშავე იმ მდგომარეობაზე, რომელიც დღეს ქვეყანაშია. მაგრამ მთავრობას ამტკიცებს პარლამენტი, უფრო სწორად კი — საპარლამენტო უმრავლესობა. და თუ მთავრობა უვარგისია, ეს პირველი რიგში მოეკითხება სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც აკომპლექტებს ამ მთავრობას, შემდეგ კი საპარლამენტო უმრავლესობას, რომელიც ამ მთავრობას ამტკიცებს, ან ითმენს დაუმტკიცებელს, რაც 7 თვის განმავლობაში ხდებოდა.**

მაგრამ რესპუბლიკელები არასოდეს გამოვსულვართ გვერდზე მდგომი მეთვალყურეების როლში. ჩვენთვის არ არის სულერთი, ცუდი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, თუ კიდევ უფრო ცუდი. ჩვენ რომ მხოლოდ პარტიული ინტერესებით ვხელმძღვანელობდეთ, მაშინ არც ჩავერეოდით პროცესში — იყოს ცუდი, დარწმუნდეს ამაში ამომრჩეველი და სათანადო დასკვნებიც გააკეთოს. მაგრამ წინა პლანზეა ქვეყნის ბედი, რომელსაც ჩვენ ყოველთვის პირველ ადგილზე ვაყენებდით და დავაყენებთ. ამდენად, თუ შესაძლებელია ნაკლებად ცუდის მიღწევა, ჩვენ ამას ყველანაირად ვეცდებით. ამიტომაც მოგახსენებთ რამდენიმე კონკრეტულ მოსაზრებას მინისტრთა კაბინეტის წარმოდგენილ შემადგენლობასთან დაკავშირებით.

1. მთავარი რეფორმატორი ქვეყანაში უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი. მან უნდა წაიყვანოს ქვეყანა რეფორმების გზით, იგი უნდა იყოს თავის თანამოაზრეთა გუნდის ხელმძღვანელი და ლიდერი. ისიც ნუ დაგავიწყდათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრემიერი მეორე პირია ქვეყანაში. სახელმწიფოს მეთაურის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სწორედ პრემიერი ცვლის მას და ხდება ქვეყნის ზელმძღვანელი. გულწრფელად ვეიაროთ: არის საჭარ-

გაგრძელება მე-4 გვ.

მესამე გვერდიდან

თველოს დღევანდელი პრემიერ-მინისტრი შესაბამისი მასშტაბის მოღვაწე?

2. ეკონომიკური ბლოკის ვიცე-პრემიერად წარმოდგენილია ბატონი თემურ ბასილია. მაგრამ განა ერთი პროგრესულად მოაზროვნე პიროვნების მრავალრიცხოვან ანტირეფორმატორულ კაბინეტში შეყვანით შესაძლებელია ჩვენი ერთ ადგილზე გაყინული რეფორმების წინ დაძვრა? გავიხსენოთ რომან გოცირიძის ბედი. ცხადია, იგი არ იყო დაზღვეული თავის საქმიანობაში შეცდომებისაგან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რაღაც პოზიტიურის გაკეთებას ცდილობდა. არ მისცეს შესაძლებლობა. უფრო მეტიც — მთავრობიდან გამოიყვანეს და ლამის ყველა უბედურება მას გადააბრალეს. და ასეთი გზით — რეფორმების რეალური ბლოკირების გზით — შეეცადნენ თვით რეფორმების იდეის კომპრომეტირებას. კიდევ უფრო სავალალო აღმოჩნდა მისი შემცვლელის — ამირან ქადაგიშვილის ბედი. ვშიშობ, რომ იგივე ელის თემურ ბასილიასაც და აქ ის კი არ არის მთავარი, რომ პირადად მისი ავტორიტეტი დაზარალდება (ეს უკვე მისი და მისი ორგანიზაციის — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის გადასაწყვეტი საქმეა), არამედ ის, რომ სრულიად რეალური წარუმატებლობის შემთხვევაში კიდევ ერთ დარტყმას მიაყენებენ თვით რეფორმების იდეას. არადა ყველა არგუმენტი ცალსახად მეტყველებს — რეფორმებს ალტერნატივა არ გააჩნიათ. ოღონდ არა სიტყვაზე, ან, თუნდაც, ქაღალდზე, არამედ ცხოვრებაში!

3. უშიშროების სამინისტროს საკითხი. ალბათ, უკვე შოგაწყინეთ თავი ამ საკითხზე საუბრით, მაგრამ ახლა სხვა კუთხით შევეხებით მას. დავუშვათ (მხოლოდ დავუშვათ) — შევთანხმდით, რომ ასეთი უწყება საჭიროა. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება შემოთავაზებულ შესწორებებს კანონში. საქმე ეხება არა მხოლოდ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის გადარქმევას, ან თუნდაც მის რეორგანიზაციასა და ფუნქციათა გაფართოებას, რაც, თავისთავად, არ უნდა დარჩეს ჩვენი ყურადღების მიღმა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სამსახური გამოჰყავთ პარლამენტის უშუალო (თუნდაც ფორმალური) დაქვემდებარებიდან და შეყავთ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგები ვართ მეტად საშიში უშიშროების სამინისტროს სახით სახელმწიფოს სახელმწიფოში შექმნისა და **მიგვაჩნია, რომ მრავალპარტიული პარლამენტის მიერ ამ უწყებაზე უშუალო კონტროლის შენარჩუნება, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ვიდრე ცნება „დემოკრატია“ გარკვეულწილად აბსტრაქტულ ცნებადვე რჩება ჩვენში, ასეთი კონტროლის შენარჩუნება სავსებით აუცილებელია. აუცილებელია აგრეთვე, რომ მის დებულებას ამტკიცებდეს მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტი.**

4. მინისტრთა წარმოდგენილ სიაში არ არის დასახელებული თავდაცვის მინისტრი. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თანამდებობას შეითავსებს სახელმწიფოს მეთაური და მთავარსარდალი. მაგრამ ჩვენ ერთობ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ახლა უკვე თავდაცვის მინისტრის თანამდებობაც შეითავსოს მთავარსარდალმა, რომლის მთავარსარდლობითაც ქვეყანამ სასტიკი და სამარცხვინო მარცხი იწვნია ომში. ძალზე ბევრ კითხვაზე არ არის ჯერჯერობით გაცემული პასუხი, რათა ჩვენ უფლება გვქონდეს დამატებითი ნდობა და დამატებითი უფლებამოსილებაც მივანიჭოთ ადამიანს, რომელმაც აფხაზეთის საკითხში აიღო თავის თავზე უზომო პასუხისმგებლობა, აფხაზეთი კი დღეს საქართველოს იურისდიქციის მიღმაა დარჩენილი. სხვათაშორის, დღეს გადმოიცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთი არ მიიჩნევს შესაძლებლად თავისი ჯარების შეყვანას აფხაზეთში სამშვიდობო მისიით. იგივე გადაწყვეტილება მიიღო გაერომაც. არ ვიცით სხვებისთვის როგორ, ჩვენთვის კი ეს ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი. ვთქვათ, ვერ მოხერხდა სოხუმის შენარჩუნება. ვთქვათ, და ალბათ, იყო ღალატი სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა ძალთა მხრიდან. მაგრამ სოხუმის დაცემის კვალობაზე ოჩამჩირისა და გალის რაიონების გაუსროლელად დატოვება? სამოქალაქო მოსახლეობის ბედის ანაბარა მიტოვება? ეს მხოლოდ ორი კითხვაა, კითხვების დასმა კი დაუსრულებლად შეიძლება. აქ 1 მარტს გაისმა შეკითხვა: როგორ მოხდა, რომ 9 აპრილს, როცა მთავრობის სახლთან 19 ადამიანი დაიღუპა, არ დაშავდნენ აქციის ორგანიზატორები და წამყვანები? ალბათ, შესაძლებელია ამ შემთხვევაში, ვთქვათ, მორალურ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი. მაგრამ იმ ვითარებაში, როცა ფიზიკური მკვლელები და ჯალათები არამცთუ არ დაისაჯნენ, არამედ ახალი ვარსკვლავები შეიტყაპუნეს სამხრეებზე და უფრო მაღალი თანამდებობებიც მიიღეს, ხოლოდ იმდროინდელი პოლიტბიუროს წევრი დღეს ჩვენი ქვეყნის მეთაურია, არა გვგონია, რომ პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ესოდენ უკეთილმართად იყოს შესაძლებელი.

კითხვებზე თუ მიდგა საქმე, გაზეთ „7 დღის“ ბოლო ნომერში (ამედია, ყველა გაეცანით ყურადღებით მასალას „და ხვალ იყო ომი...“) მოყვანილია ბევრი აქტუალური კითხვა, რომელთა დასმაც სურს სამხედრო პროკურატურას მაღალი და უმაღლესი თანამდებობის პირთათვის და რომლებზეც მას პასუხი ჯერ არ მიუღია. შეგიძლიათ ეს კითხვები ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრთა სადეპუტატო შეკითხვადაც განიხილოთ, ბატონო სახელმწიფოს მეთაურო და სხვებმაც, ვისაც ისინი ეხება.

ამდენად, დარწმუნებულები ვართ, რომ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ადამიანი, რომლის მიმართ ყოველგვარი ეჭვები უადგილო იქნება და რომელსაც შესწევს უნარი, ბოლოს და ბოლოს, ქართული ჯარი რეგულარულ, ბრძოლისუნარიან არმიას დაამსგავსოს. ამ შემთხვევაშიც არა გვგონია, რომ სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე აუცილებელია მაინცდამაინც ნაპოლეონის ნიჭის სარდალი. თავდაცვის მინისტრი — ქვეყნის საიმედო თავდაცვითი სისტემის შექმნის ორგანიზატორი უნდა იყოს, ხოლო სამხედრო ოპერაციების უშუალო ხელმძღვანელობა — სხვათა საქმეა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს დღემდე არ გააჩნია სამხედრო დოქტრინა, რომლის გარეშეც ჯარის ჩამოყალიბებაზე ლაპარაკიც კი უბრალოდ არასერიოზულია.

ამავე საკითხთან დაკავშირებით: კანონში ხელისუფლების შესახებ ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირებულია, რომ მინისტრს არ შეიძლება ეკავოს კიდევ სხვა თანამდებობა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში (მუხლი 26) და, ამდენად, სახელმწიფოს მეთაურის — პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის შეთავსება მინისტრის თანამდებობასთან დაუშვებელია.

საერთოდ, დროა დღის წესრიგში დადგეს იმ დამატებითი უფლებამოსილებების საკითხი, რომლებიც პარლამენტმა მიანიჭა სახელმწიფოს მეთაურს სექტემბრის თვეში. ომი დამთავრებულია და ხელისუფლება კონფლიქტის მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგებაზე ლაპარაკობს (როგორი წარმატებითაც მიდის საქმე — უკვე ვიცით), საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის დიდ ნაწილში მოხსნილია, ე. ი. დროა დავუბრუნდეთ იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული.

მერამდენედ უკვე მოგიწოდებთ ყველას: სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტს, მინისტრთა კაბინეტს, თითოეულ სახელმწიფო მოხელეს — დავიცვათ კანონები. განუხრელად დავიცვათ კანონები, თუკი გვინდა, რომ საქართველო გახდეს სახელმწიფო. ჩვენში კანონის ქრონიკული დარღვევის მაგალითად მოვიყვან დღევანდელ ვითარებას: როგორ წარმოგიდგენიათ, დეპუტატმა და იმავდროულად ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა უნდა უყაროს თავის თავს კენჭი ვიცე-პრემიერობაზე დასამტკიცებლად? და თუ მას ეს უფლება აქვს, რატომ ჩამოერთვა იგივე უფლება ბ-ნ სანდრო კავსაძეს ან ბ-ნ მურთაზ ზანკალიანს, რომლებმაც აიყარეს დეპუტატის უფლებამოსილებანი აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამტკიცებისთანავე?

ვფიქრობთ, განსახილველია ზოგადად ხელისუფლების საკითხიც. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების გამიჯვნის საკითხი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების საკითხი, კონსტიტუციური წესწყობილებისაკენ ამოძრავების საკითხი და სხვა.

და ბოლოს. მინისტრთა კაბინეტის წარმოდგენილ სიასთან დაკავშირებით დგება ერთი უბრალო კითხვა: ვისია ეს კაბინეტი? საპარლამენტო უმრავლესობის, როგორც ეს წესითა და რიგით უნდა იყოს? არა გვგონია, ვინაიდან არსებული ინფორმაციით უმრავლესობის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა ტიპის პრეტენზიები აქვთ მის შემადგენლობასთან. ოპოზიცია იმიტომაც არის ოპოზიცია და უმცირესობა, რომ რაოდენობა არ ჰყოფნის პარლამენტში თავისი აზრის გასატანად. მოქალაქეთა კავშირი თითქოს ემიჯნება ამ შემადგენლობას. მოქალაქეთა კავშირის ლიდერი — ედუარდ შევარდნაძე კი სწორედ მისი ორგანიზაციის მიერ დაწუნებულ შემადგენლობას სთავაზობს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარადოქსია, არა?

ამავე დროს 1 მარტის სხდომამ დაანახა მთელ საქართველოს, რომ როცა სახელმწიფოს მეთაურს და მის ერთგულ უმრავლესობას რაიმე ძალიან სურთ, ისინი აღწევენ საწადელს. ამდენად, იქნება დამტკიცებული მინისტრთა კაბინეტი წარმოდგენილი სახით, თუ არ იქნება, ეს მთლიანად სახელმწიფოს მეთაურისა და საპარლამენტო უმრავლესობის ნებაზეა დამოკიდებული, რომლის ბირთვს — სახელმწიფოს მეთაურის მონაცემებით 71 კაცს — შეადგენენ მოქალაქეთა კავშირის წევრები. რესპუბლიკელთა ათკაციანი ფრაქცია ან მთელი საპარლამენტო ოპოზიციაც კი კენჭისყრის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღებაზე გაელენას ვერ მოახდენს. და თუ წარმოდგენილი სია არ დამტკიცდა (ინფორმაცია კი იმის შესახებ, რომ არსებობს სხვა სიაც და ალტერნატიული კანდიდატების მინისტრთა პოსტებზე არის), ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილი აქვს რაღაც უცნაურ თამაშს. თამაშს, რომელსაც არასოდეს თამაშობდა რესპუბლიკური პარტია და რაც ახლა და არც მომავალში არ ითამაშებს.

«ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩასხმა არ შეიძლება»

ბიძინა გოლეთიანი

ღია საფლავები

1992 წ. 31 დეკემბერი

სამოცდაამეშვიდე საახალწლო შეხვედრამ არჩეულებრივ პირობებში მომიწია. რა არ გადამხდენია თავს ამ ხნის განმავლობაში: ჯერ იყო და კომუნიზმს ეაშენებდით, თუმცა რა იყო კომუნიზმი არც ერთმა ჩვენთაგანმა არ უწყოდა. ხრუშჩოვმა ისიც კი გვითხრა ოთხმოციან წლებში ჩვენი თაობა კომუნიზმში იცხოვრებსო, სულ ბალე მან ნახერხშერეული სიმინდის ფქვილის ჭადები გვაჭამა. ათასი ფორმის რეფორმები, ათასნაირი ახალი დაპირებები, ექსპერიმენტები და ბოლოს საბჭოთა კავშირის დანგრევა. საბჭოთა ხალხი ეთნიკურ ჯგუფებად დაიყო და ერთმანეთს დაერივნენ. იმპერიამ ჩვენც ჩაგვამწარა ახალი წლის შეხვედრა და აფხაზებსაც, შუქის უქონლობის გამო ინფორმაციას ვერ ვღებულობთ, იქნებ დროებითი დაზავება დათქვეს სამხედროებმა ახალი წლის დღეებში?! არ ვიცით ჭორის დონეზე კი მოდის ცნობები აფხაზები იარაღის დაყრას აპირებენო, საპირისპირო ჭორები კი გვამცნობს, რომ ახალწლის ღამეს ქართველებს ჩაუმწარებთო, ახალ შეტევას მოვაწყობთო. ასეა თუ ისე სიფხიზლეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია, და არადუელი ახალგაზრდებიც ფხიზლად დარაჯობენ თავიანთ მშობლიურ სოფელს. საგუშაგოებზე ჰიკეტი გაიორკეცეს. როგორ შეხვდებიან ახალ წელს ამაზე, ალბათ, ხვალ, ზეგ მოგახსენებთ...

თოვა არც დღეს შეწყვეტილა. მოდის სველი თოვლი და მიწასთან ახწორებს მოსავალს, განმკითხავი არავინაა. დიდ იმედებს ვამყარებთ სოხუმში ახლად შექმნილ მინისტრთა საბჭოზე ნადარეიშვილის თავმჯდომარეობით, მაგრამ ჯერჯერობით სასიკეთო ძვრებს ვერა ვხედავთ. პოზიციები მებრძოლ მხარეებს შორის ძველებური რჩება. დრო ზოზინით მიდის, ვილაც ისურის, ვილაც კვდება, ვილაც კიდევ არეულობით დროს შოულობს და მდიდრდება. და ეს ხალხი და ეს ქვეყანა ჯანდაბას წაეღიაო. ასე ამბობს ჩემი მეზობელი ლადია, როცა მთელი სოფელი შეტევებს იერიების ღორების საკვებზე გარბის ან ჭეშაში იგინება. ეს ის ლადიაა მის ვედროს მტრის ნასროლი ტყვია რომ მოხვდა და ბღავილი მორთო, არიქა ბახვა, მიშველე. მტერი სახაფლაოს მოადგაო. თუ რამეს თვალი მოკრა სახლში შეარბენინებს მის სახლთან ახლოს ქვემეხები ისროდნენ და ლადიამ ოცამდე ჭურვების ჩახაწყობი ხიხ ყუთი წაიღო სახლში, როცა ჰკითხეს, რატომ შენ მიგაქეს სუყველაო? ჩემს სახლთან რაც რამე იქნება ახლოს ყველაფერი ჩემიაო! ტატიანასაც მოუნდა ყუთის წამოღება სახლში მაგრამ ლადია დაანებებდა?

არადუში მოულოდნელად სამხედრო მანქანა მოგრიალდა. წინა დღით მერკულაში გამართულ ბრძოლაში, მტრის პოზიციებისაკენ გაიგზა ის სამი ტანკი, ადრე რომ ჩვენთან იდგნენ „შაუნბადა 101,102 და 103“ მათ ველარ მოზომეს პოზიციები და მტერმა ისეთ ადგილას ჩაკეტა ისინი, რომ ჩვენებმა მათი გამოყვანა ველარ შეძლეს. ეკიპაჟები მგონი გადარჩა, მხოლოდ ერთი კაცი დაიღუპა. შერე ისე მოხდა, რომ ამ ტანკებთან ვერც ჩვენები მიდიოდნენ და ვერც მოწინააღმდეგე. თუ მოწინააღმდეგეს ჩაუვარდებოდა ხელში სამი ტანკი, ისინი ჩვენზე უკეთ გამოიყენებდნენ მათ ჩვენსავე წინააღმდეგ. მერე გადაწყვიტეს ვერტმფრენების დახმარებით აეფეთქებინათ ის ტანკები, და აეფეთქეს კიდეც. მოსულები ოჩამჩირის შტაბიდან გამოეგზავნათ, წადით არადუში, იქ აფხაზები ცხოვრობენ და გადასაცვლელ კაცს მოგცემენო, ხედავთ?! როგორ უხინდისოდ იქცევა ვილაც ჩინოსანი ოჩამჩირეში. არადუში კი ასე ადვილად არ ეგებიან შინაური მტრების ანკესზე. თუ არადუში მცხოვრებ აფხაზს გადაცვლი ვინმეზე და გაუშვებ მისიანებთან, მაშინ განა ის გადაცვლილი კაცი არ შემოუძღვება მტერს არადუში? მან ხომ არადუს ყოველი კუთხე-კუნჭული იცის! უარით გაისტუმრეს. მაშინ იყო რომ გაგულისებულმა მძღოლმა ლადიას ღორები იშხვერპლა.

მაშ ახლა, ხვალ ახალი წელია, მშვიდობიანი ახალი წელი გათენებულიყოს!

ბიძინა გოლეთიანი

ღია საფლავები

1992 წ. 31 დეკემბერი

სამოცდაამეშვიდე საახალწლო შეხვედრამ არჩეულებრივ პირობებში მომიწია. რა არ გადამხდენია თავს ამ ხნის განმავლობაში: ჯერ იყო და კომუნიზმს ეაშენებდით, თუმცა რა იყო კომუნიზმი არც ერთმა ჩვენთაგანმა არ უწყოდა. ხრუშჩოვმა ისიც კი გვითხრა ოთხმოციან წლებში ჩვენი თაობა კომუნიზმში იცხოვრებსო, სულ ბალე მან ნახერხშერეული სიმინდის ფქვილის ჭადები გვაჭამა. ათასი ფორმის რეფორმები, ათასნაირი ახალი დაპირებები, ექსპერიმენტები და ბოლოს საბჭოთა კავშირის დანგრევა. საბჭოთა ხალხი ეთნიკურ ჯგუფებად დაიყო და ერთმანეთს დაერივნენ. იმპერიამ ჩვენც ჩაგვამწარა ახალი წლის შეხვედრა და აფხაზებსაც, შუქის უქონლობის გამო ინფორმაციას ვერ ვღებულობთ, იქნებ დროებითი დაზავება დათქვეს სამხედროებმა ახალი წლის დღეებში?! არ ვიცით ჭორის დონეზე კი მოდის ცნობები აფხაზები იარაღის დაყრას აპირებენო, საპირისპირო ჭორები კი გვამცნობს, რომ ახალწლის ღამეს ქართველებს ჩაუმწარებთო, ახალ შეტევას მოვაწყობთო. ასეა თუ ისე სიფხიზლეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია, და

დასასრული დაბეჭ. იხ. „საქართველო“ № 7

შევარდნაძის გამარჯვება საქართველოზე?

ნოდარ ნათაძე

პირველი გვერდიდან

„ბოევიკები“ არ ყოფილყვნენ. როგორც ვხედავთ, რუსეთმა ორგვარადვე მოიგო აფხაზეთის ომით, რომელშიც მისი წამყვანი როლი, ქართული სახელმწიფო პოლიტიკის ლმობიერების შედეგად, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. მოიგო ჩვენი კატასტროფის და ჩვენი სისხლის ხარჯზე: გაგვანადგურა და აფხაზეთიდან გამოგვაძევა. მეორე, იმ შემთხვევისთვის, თუ ჩრდილო კავკასიაზე ლაშქრობა გადაწყვიტა, მან მოიპოვა მსოფლიოს მიერ აღიარებული ზოგადი იდეოლოგიური საყრდენი პირსისხლიან ფუნდამენტალისტურ სეპარატიზმთან ბრძოლის წმინდა ლოზუნგის (პრინციპის) სახით. ამავე დროს — ჩვენი პრაქტიკულად გამოუსავალი მდგომარეობიდან გამომდინარე — მან მოიპოვა თავისი აგრესიის მსხვერპლის, საქართველოს მხარდაჭერა იმ შემთხვევისათვის, თუ ჩრდილო კავკასიაზე ლაშქრობისას გზად „მთიელთა კონფედერაციასაც“ ერთი-ორი კონდახი ჩასცხო და მით აფხაზეთის პრობლემა შეგვიმსუბუქა მასში „მშვიდობისმყოფელის“ როლის აღების და ქართველი მოსახლეობის რაღაცა ნაწილის ადგილზე დაბრუნების ფორმით.

იმ პირობებში, რომელშიც ომში დამარცხებამ ჩაგვაგდო, და შევარდნაძის იმ პოლიტიკის ჩარჩოში, რომლითაც საქართველოს მეთაურმა და რუსეთის პრეზიდენტმა ერთად სთხოვეს გაეროს რუსეთისთვის მანდატის მიცემა აფხაზეთში სამოქმედოდ, რუსეთის კავკასიაში ლაშქრობა და აფხაზეთის პრობლემის ამ ფონზე გადაწყვეტა ჩვენთვის ერთადერთ პერსპექტივად რჩება.

ასეთი ვითარება რუსეთისათვის უდიდესი გამარჯვებაა. ამით იგი:

ა) კავკასიელ ხალხთა ენერგიას წარმართავს მათი ბუნებრივი მოკავშირის — საქართველოს წინააღმდეგ.

ბ) მაგრდება ჩრდილოეთ კავკასიაში

გ) მაგრდება აფხაზეთში

დ) აფხაზეთის დაკარგვინების მუქარით ნებაყოფლობით ბატონდება კიდევ ერთხელ საქართველოში.

ამგვარად, ვინ იყო დაინტერესებული მოვლენათა სწორედ ისე განვითარებაში, როგორც რეალურად განვითარდა, ნათელია. ეს იყო რუსეთი, კიდევ რუსეთი, ისევ და ისევ რუსეთი. საკითხავი დაგვრჩა: რა შემთხვევაში (უფრო კონკრეტულად: საქართველოს ხელისუფლების რა მოქმედების შემთხვევაში) არ წავიდოდა საქმე ისე, როგორც წავიდა. პასუხი ასე წარმომიდგენია:

1. „სეპარატიზმი“ უკმარისი დახასიათებაა არძინბას ჯგუფისათვის. „სეპარატიზმი“ ისეთი ცნებაა, რომელიც ბევრ ეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც მიეყენება. არძინბას ხროვის მოქმედება არის მოქმედება პატარა ქვეყნის (საქართველოს) თავისუფლების წინააღმდეგ დიდი ქვეყნის (რუსეთის) ინტერესებში და, ამგვარად, იგი ერთა თვითგამორკვევის უფლების შემლახველია (და არა მხოლოდ სახელმწიფოს მთლიანობის პრინციპისა). ეს ხდება არა საქართველოს მიერ ოდესღაც დაპყრობილ მიწაზე, არამედ საქართველოს ისტორიულ მიწაზე, სადაც ქართველი აბორიგენი (მკვიდრი) ერია (აფხაზებთან ერთად), და ეს უკანასკნელი გარემოება პრინციპულად ასხვავებს აფხაზების პოზიციას ქართველების მიმართ ჩეჩნების პოზიციისაგან რუსეთის მიმართ. გარდა ამისა, არძინბას ჯგუფის პოზიციას ჰქვია არა „სეპარატიზმი“ (სახელმწიფოსაგან გამოყოფის სურვილი), არამედ „ირიდენტიზმი“ ანუ ერთი სახელმწიფოს შემადგენლობიდან მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლის სურვილი. ეს ვითარებები თავიდანვე უნდა დასდგომოდა საფუძვლად საქართველოს პოლიტიკასაც და პოლიტიკურ ტერმინოლოგიასაც.

2. თავიდანვე უნდა დაფიქსირებულიყო და თანმიმდევრულად აღიარებული ყოფილიყო საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის ფაქტი (რისთვისაც მასალა ამოუწურავია). მაშინ გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ამოცანა იქნებოდა არა ქართველთა და რუსთა დაშორიშორება ენგურზე, არამედ საქართველოს და რუსეთის დაშორიშორება ფსოუზე.

3. ხელისუფლების აღებისთანავე დღევანდელ ადმინისტრაციას უნდა დაეწყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ფუნდამენტური მოგვარების პოლიტიკა, რომელიც სხვა ვერა იქნება რა, თუ არაერთობლივი არჩევანი ორ შესაძლებლობას შორის: ა) ტერიტორიის გაყოფა, ბ) ტერიტორიის მიმართ უფლებამოსილებათა გაყოფა.

4. საჭირო იყო აქტიური კავკასიური პოლიტიკის წარმოება კავკასიელი ხალხების ბრძოლის მხარდაჭერის ფორმით რუსეთისაგან დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდისათვის (მაგრამ რუსეთის ფედერაციისაგან მათი გამოყოფის ცალსახა მხარდაჭერის გარეშე გასაგები მიზეზების გამო). არც მდგომარეობის საკუთრივ სამხედრო ასპექტებზე, არც რუსებთან მოლაპარაკებებში ქართული მხარის სისტემატური გულუბრყვილო მოტყუების ფაქტზე აქ აღარ ვლაპარაკობთ.

III. რუსეთის გავლენა ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე

საქართველოს მიმდინარე „ეთნოკონფლიქტები“ ვისი ორგანიზებულია, ცნობილია. ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტი 1989 წლის ბოლოდან არსებობს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რუსეთი მასში ერეოდა იმ საფუძველზე, რომ ეს იყო სსრკ ტერიტორია. დამატებით არგუმენტად ის ჰქონდა და დარჩა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავისი ბეცი გადაწყვეტილებით დააკისრა რუსეთის შინაგან ჯარს ცხინვალის ზონაში უსაფრთხოების დაცვა ქართულ პოლიციასთან ერთად. ელცინ-შევარდნაძის 24 ივნისის მოლაპარაკებით რუსეთის ჯარს დაეკისრა სამშვიდობო ფუნქციები ამ ზონაში. ეს ის რუსეთისთვის სანატრელი შეთანხმება იყო, რომელიც ნიმუშად და პრეცედენტად უნდა ქცეულიყო რუსეთის შემდგომი ექსპანსიისათვის თავის ყოფილ იმპერიაში — რუსეთი უნდა დარჩენილიყო თავისი ყოფილი იმპერიის ზონის მეურვედ გამზავებლის, არბიტრის, მსოფლიოს მიერ დაყენებული მეთვალყურის როლში. რუსეთის პოლიტიკა რომ სწორედ აქეთ იყო მიმართული, ეს შემდეგ გამოჩნდა. იმ დროს ეს გეგმა ზოგისათვის ჯერ კიდევ ფარული ჩანაფიქრის სახეს ატარებდა, ზოგისათვის — ინსტრუქციისას. ამგვარად, ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის განვითარება სწორედ ისე წარიმართა სტრატეგიულადაც (ჩვენი მიწა სხვის ხელშია დღესაც) და პოლიტიკურადაც (რუსეთმა თავისი „მშვიდობისმყოფლობის“ პრეცედენტი შექმნა), როგორიც რუსეთისთვის იდეალური იყო. საქართველოს ყველა ნაბიჯი ამ გეგმას ზედმიწევნით მოერგო.

რუსეთის მისწრაფება აფხაზეთში იმავე ფუნქციის აღებისკენ, როგორც უკვე ვთქვით, ამ პოლიტიკის ამჯერად ღია გაგრძელებაა.

IV. რუსეთის მიმართ პოლიტიკა საერთოდ

დასავლეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ცვალებადია გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ არა თავისი გენერალური ხაზით. იგი რუსეთის იმპერიის, როგორც შემტევი სამხედრო ძალის, შეზღუდვის პოლიტიკაა. კერძოდ — მისგან მისი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების გამოყვანის პოლიტიკაცაა. ის, რომ რუსეთს არ უნდა ჰქონდეს სამხრეთისკენ ექსპანსიის ან მუქარის საშუალება, ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. დასავლეთი კატეგორიულად გამორიცხავს ისეთ პოლიტიკას, რომელიც რუსეთთან ომს მოიტანს, მაგრამ იგი საკმაოდ მტკიცედაა მონდომებული, რომ რუსეთს ტერიტორიული ან სტრატეგიული ექსპანსიის გზა გადაუკეტოს, სხვათა შორის, სამხრეთისკენაც. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ფაქტობრივად დაკარგა სტრატეგიული თვალსაზრისით უკრაინა და რაც ცხადი გახდა, რომ შუა აზიასაც ვერ შეინარჩუნებს, მისთვის სამხრეთისკენ სტრატეგიული გასვლის ერთადერთ გზად კავკასია დარჩა. ამ ზონის სრული იურიდიული დამოუკიდებლობა რუსეთისაგან ის აუცილებელი იარაღია, რომელიც ამ ზონას სჭირდება თავის დასაცავად რუსეთის ახალი ექსპანსიისაგან. თუ ჩვენ რუსეთისგან სრულებით დამოუკიდებელნი ვართ, ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნებს რუსეთთან ურთიერთობის გაურთულებლად შეუძლიათ ნებისმიერი ურთიერთობის განვითარება ჩვენთან და რომ ჩვენ რუსეთის სტრატეგიულ ორბიტაში არ ვიმყოფებით. სომხეთის ყოფნამ СНГ-ში და მასშივე აზერბაიჯანის შესვლამ (ორივე განპირობებული გახლავთ, დიდწილად, ყარაბაღის ფაქტორით) ჩვენ შეგვირყია პოზიციები, ხოლო საქართველოს ჩაბმამ და დამარცხებამ აფხაზეთის ომში, ეკონომიკურ მარწუხებთან ერთად, განაპირობა დაჩოქილი ქვეყნის თანხმობა СНГ-ში შესვლაზე. შევარდნაძის და მისი საპარლამენტო უმრავლესობის ამ აქტმა საქართველოს წაართვა ყველაზე ძლიერი პოზიცია როგორც რუსეთთან პოლიტიკურ ჰიდაობაში, ისე მასთან პოლიტიკურ ვაჭრობაში. საქართველოს მიმართ ეს იყო აკრძალული მეთოდებით ზეწოლის ნაყოფი, რუსეთის მიმართ — საჩუქარი, რომლის სანაცვლოდაც ჩვენ არაფერი მივიღეთ — არც მშვიდობა, არც ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის შეწყვეტა, არც სამხედრო დახმარება, არც სამოწყალო ლუკმა.

მას შემდეგ განვლილ თვეებში, რაც შევარდნაძის კურსი რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე ნათლად გამოიკვეთა (СНГ-ში შესვლა გამოცხადდა), დასავლეთის პოლიტიკამ რუსეთის მიმართ ერთგვარი გამკვეთრება განიცადა. ის, რომ არაა განზრახული, რუსეთს მისი იმპერიის აღდგენის საშუალება მისცენ, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, ვიდრე ადრე იყო. ამ ცვლილების ერთი გამოვლინება ისიცაა, რომ რუსეთს, მიუხედავად ელცინის და შევარდნაძის ერთობლივი თხოვნისა, უარი ეთქვა აფხაზეთში სამოქმედოდ გაეროს მანდატის მიცემაზე. განვითარების ეს ტენდენცია გაგრძელდება. ამგვარად, საქართველომ შევარდნაძისა და საპარლამენტო უმრავლესობის ზემოხსენებული პოლიტიკით ორიენტაცია აიღო არა პერსპექტიულზე, არამედ უპერსპექტივოზე, არა ზრდადზე, არამედ წამავალზე, არა თავისუფალ სამყაროზე, არამედ განწირულ იმპერიაზე. საქართველომ მუქთად (ვიმეორებ: მუქთად, რადგან ყველა ვნება, რისი მიყენებაც რუსეთს შეეძლო და შეუძლია პირდაპირი ჩარევის გარეშე, მან უკვე მოგვაყენა) დათმო მონაწილეობა როგორც იმპერიისაგან რეალური განთავისუფლების, ისე ჩვენი რეგიონის დიდმასშტაბიანი ზეოპოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროცესში.

VI. დასკვნა

ამგვარად,

1. შევარდნაძისა და მისი უმრავლესობის კურსმა გაიმარჯვა: განსაცდელში მყოფმა საქართველომ უდრტვინველად დაუშვა, რომ იგი შეთრეულ იქნა СНГ-ში. აფხაზეთი მტრის ხელშია, შიდა ქართლი მტრის ხელშია, რუსეთს საიმედოდ უჭირავს ხელში მარყუჟი (ამ ტერიტორიების საბოლოოდ დაკარგვინების მუქარა), რომელსაც ყელში მოგვიჭერს მაშინ, როცა მოესურვება.

2. ჩვენი დამარცხება სრული არაა. ნომინალურად (სიტყვიერად) გაეროს მიერ აღიარებულია ჩვენი უფლება ჩვენი ტერიტორიების მიმართ, რის გამოც რუსეთიც იძულებულია, იგივე გაიმეოროს. უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილების მიღებაში (შეგვიძლია ამაში ეჭვი არ შევიტანოთ) საქართველოს ხელისუფლების წვლილი ძევს.

3. რუსეთის წინაშე კაპიტულაციის პოლიტიკა ისტორიამ გაამტყუნა. ამის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ რუსეთს აფხაზეთში სამოქმედო მანდატი არ მიეცა. ამგვარად, ისტორია ჩვენს მხარეზეა, **თუ ვივარგებთ.**

დავძენ: ხდება ის, რასაც ქართველი პატრიოტები ვწინასწარმეტყველებდით ამ რამდენიმე წლის წინ: „იმპერია დაიშლება. მის დაშლას ისტორია ჩვენ არ ეკითხავს, ეს ჩვენგან დამოუკიდებელი პროცესია (შევნიშნავთ: პატარა წვლილი იმპერიის დაშლაში ჩვენს პატარა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობასაც უდევს). მაგრამ ვის რა დარჩება იმ დანგრეული იმპერიიდან, ამაზე ისტორია დუმს. ეს მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“.

იმპერია მართლაც დაიშალა და იშლება. ჩვენ, ჯერჯერობით, მისი ნანგრევებიდან ჩვენი კუთვნილი წილის წამოღებაც ვერ მოვახერხეთ. პირიქით, ტერიტორიებს ვკარგავთ. ეს **მხოლოდ ჩვენი** ბრალია, სხვა არავისი — ჯერ უვარგისი ხელისუფლების, მერე ყველა დანარჩენისა, ვინც ვარგისი ხელისუფლება ვერ შექმნა და უვარგისთა მოსვლა დაუშვა.

გაზეთ „7 დღის“ 1994 წლის 29 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა გ. სანადირაძისა და ნ. სანებლიძის სტატია, სადაც გამართლებულია გამსახურდიასდროინდელი სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში, კერძოდ ის აპარტეიდული საარჩევნო კანონი, რომელსაც ალბათ პრეცენდენტი არ გააჩნია.

წინამდებარე სტატიას არ აქვს არც აღნიშნული საარჩევნო კანონის ავტორების, არ; მისი გამამართლებლების განქიქების სურვილი. უბრალოდ, ჩვენ მომავალ?ი აუცილებლად გველის საქართველოს ამ რეგიონისათვის, როგორც საარჩევნო, ისე სხვა ტაკანონმდებლო აქტებზე მუშაობა და აქედანვე უნდა გამოირიცხოს მსგავსი შეცდომები.

ეს არის და ეს.

კიდევ ერთხელ აპარტეიდული კანონის შესახებ

ახლა უშუალოდ სტატიის ირგვლივ.

1. პირველივე აბზაცი — „ოფიციალურ პროპაგანდას თუ დაეჯერებთ, ძირითადი მიზეზი აფხაზეთის ომში ჩათრევისა არის აფხაზეთის 1991 წლის საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის უზენაესი საბჭო ეთნიკური პრინციპით (ქართველთათვის წამგებიანად) იქნა არჩეული“.

თურმე აფხაზეთის უზენაესი საბჭო არჩეული ყოფილა ეთნიკური პრინციპით. ჭანა შეიძლება საარჩევნო კანონს უწოდო კანონი, როდესაც ერთი ეროვნების ხალხს, კერძოდ აფხაზებს, ეძლევათ (ამ სტატიის პირდაპირი გაგებით) 150 %-ით მეტი ადგილი, ვიდრე ქართველებს, და 400 %-ით მეტი, ვიდრე სხვა ეროვნების მაცხოვრებლებს? აი ასეთ „საარჩევნო კანონს“ გ. სანადირაძის და ნ. სანებლიძის აზრით თურმე „უსამართლოდ ეწოდა ქართველთა მიმართ დისკრიმინაციული აპარტეიდული კანონი“.

არადა, ისეთივე შეფარდებით წამგებიანი რომ ყოფილიყო ეს კანონი აფხაზთათვის, მაშინ ქართველებს უნდა მიეღოთ არა 26 ადგილი, არამედ — 155!

2. „აფხაზები აფხაზეთში მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ (ქართველებთან ერთად) და, ამდენად, მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენება აუცილებლად შეიძენდა გენოციდის ელფერს“.

ამ ფრაზის ირგვლივ რამდენიმე შენიშვნა გვაქვს.

მართალია, საქართველოს მთავრობის და მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ ორივე ერი აღიარებულია მკვიდრ ერად, მაგრამ მეცნიერთა მეორე ნაწილი არგუმენტირებულად უარყოფს და მკვიდრ ერად ქართველებს მიიჩნევს, აფხაზებს (აფხაზებს) კი — ჩამოსახლებულად XVI–XVII საუკუნეებში. აფხაზეთის არძინბას მთავრობა და თითქმის ყველა აფხაზი მეცნიერი მკვიდრ მოსახლეობად მხოლოდ აფხაზებს თვლიან, ქართველებს კი — ჩასახლებულებად.

მაშასადამე, მკვიდრობის თაობაზე სამი სხვადასხვა მოსაზრებაა და აქედან ერთ-ერთის, ჩემის აზრით, ყველაზე სადაო ვერსიის არჩევა და მისი მინევა ჭეშმარიტად, არასწორია. მართალია, ეს ვერსია, თითქოსდა, პოლიტიკურად ყველაზე გამართლებული ვერსიაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, და ვინაიდან, ამაზე მსჯელობა დიდ ადგილს დაიჭერს, ამიტომ აღარ გაეგრძელებთ. გაეიმეორებთ მხოლოდ, რომ ერთ-ერთის არჩევა, როგორც ერთადერთისა, არასწორია.

მეორე შენიშვნა ამ ფრაზის ირგვლივ: ისა გვაქვს, რომ არავრით არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს, აფხაზებს (ზოგადად) წინააღმდეგ გამოყენებულ ალბ ძალა (ქართველთა ერ). ქართველ ხალხს არასოდეს დაუსახავს მიზნად აფხაზი ხალხის აწყვეტა. პირიქით კი — იყო, ვ. ; ძალზედ საშიში სიმპტომების სახით — ანტიქართული ლოზუნგი და მიტინგები, 1989 წლის ივლისის დღეები, რაც ბოლოს დაგვირგვინეს ქართული მოსახლეობის მ. ური ამოწყვეტით.

მცდარია აგრეთვე ის მოსაზრებაც, რომ რადგანაც „აფხაზები მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ, ამდ ად მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენ ა აუცილებლად შეიძენდა გენოციდის ელფერს“.

გა ოდის, რომ არამკვიდრი მოსახლეობ ს წინააღმდეგ ძალის გამოყენებ ; შეიძლება შეიძინოს გენოციდი ელფერი და შეიძლება არა? აფხაზების წინააღმდეგ კი „აუცილებლად“ შეიძენდა? გაუგებარია, თუ რას ემყარება ასეთი კატეგორიული მსჯელობა. ისე კი, გენოციდს რაც შეეხება, დღეს ყველამ დაინახა, თუ ვინ ვის მიუყენა გენოციდი;

3. „არასწორია შეხედულება, თითქოს საარჩევნო კანონი ქართველმა მხარემ რუსეთის დაწოლითა და დაუინებული მოთხოვნით მიიღო. პირიქით (?! — ი. ლ.), რუსეთი სწორედ იმ სცენარს გეგმავდა, რაც წელიწადნახევრის შემდეგ აფხაზეთში (და სრულიად საქართველოში) გათამაშდა“.

გაგებულია „პირიქით“ რატომ გეგმავდა ვითომ რუსეთი; განა წელიწადნახევრის შემდეგ გათამაშებული სცენარის განხორციელებას იმ საარჩევნო კანონმა უფრო არ შეუწყო ხელი? განა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პირველივე სხდომებიდან ამ სცენარის განხორციელებისათვის მზადება არ დაიწყო?

4. „პრობლემის პოლიტიკური მოგვარება კი აუცილებლად გულისხმობს მხარეებს შორის გარკვეულ კომპრომისს, და სწორედ ამგვარი კომპრომისის შედეგს წარმოადგენს აფხაზეთის გახსურებული ე. წ. აპარტეიდული საარჩევნო კანონი“.

მეტად თავისებურად ესმით ავტორებს „მხარეებს შორის კომპრომისი“. საინტერესოა, რა კომპრომისზე წავიდა აფხაზების მხარე? ალბათ იმას გულისხმობენ, რომ აფხაზებმა სხვა ხალხებთან შედარებით 400 %-ით მეტი ადგილი მიიღეს, ქართველებთან კი „დათმობაზე“ ანუ კომპრომისზე წავიდნენ, და მხოლოდ 150 %-ით მეტ ადგილს დასჯერდნენ!

5. „ქართველობა არ წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის ისეთ უმრავლესობას, რომლის პროპორციულ წარმომადგენლობასაც დამოუკიდებლად ეკრძალა ოფიციალურად სრულფასოვანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა“.

„ამრიგად, საბჭოთა საარჩევნო კანონით მოქმედება უკიდურესად (?! — ი. ლ.) შეამცირებდა აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოში ქართველთა რაოდენობას“.

ჯერ ერთი, რატომ უნდა ყოფილიყო არჩევნები მაინცდამაინც პროპორციულობის პრინციპზე დამყარებული, და მეორეც, ნუ იკითხავთ და, თურმე საბჭოთა საარჩევნო კანონით მოქმედება „უკიდურესად შეამცირებდა ქართველთა რაოდენობას, ეროვნულმა საარჩევნო კანონმა კი გვიხსნა, და ეს საშიშროება თავიდან აგვაცილა. საიდან ასეთი დასკვნა, რომელი გაანგარიშებიდან გამომდინარე? შავი თეთრად შეიძლება გაასაღოს კაცმა, მაგრამ 26:28-თან შეფარდება უფრო მეტია, ვიდრე 43:19*-თან, ეს ჯერ არავის დაუმტკიცებია. თუ სტატიის ავტორებს არ ჩავთვლით რაოენ ;ბაუნდა!

*“საქართველოში“ (N2) კიდევ უფრო მოგებიანი (ჩვენთვის) ციფრებია მოყვანილი ჯაროს კომისიისა — 45,7% და 17,8%.

6. „საბოლოოდ, აფხაზეთის არამკვიდრ მოსახლეობასთან აფხაზები უფრო ნახულობენ საერთო ენას, ვიდრე ქართველები“.

უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არააფხაზები საერთო ენას უფრო ნახულობენ აფხაზებთან, ვიდრე ქართველებთან.!, და ეს სრულებითაც არ არის გასაკვირი. ეს ხდება იმიტომ, რომ მათ, არააფხაზებს, როგორც წესი, არც სჭირდებათ ქართველებთან საერთო ენის გამონახვა (ამ შემთხვევაში სტატიის ავტორები და მეც „საერთო ენის გამონახვაში“ ვგულისხმობთ მხარდაჭერას). არ სჭირდებოდათ იმიტომ, რომ მთელი ძალაუფლება აფხაზეთში აფხაზებს ეჭირათ ხელთ და ამდენად, თბილ ადგილებზე მოხვედრის შესაძლებლობა გააჩნდათ მხოლოდ ეროვნებით აფხაზებს, გააფხაზებულ ქართველებს და აფხაზების მხარდამჭერ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. არააფხაზები კი არადა, თვით ქართველები ქართველებზე მეტად აფხაზებთან პოულობდნენ საერთო ენას. პრივილეგიებით რომ ესარგებლათ, ან უბრალოდ, აფხაზთა მხრიდან შევიწროვების გარეშე რომ ეცხოვრათ, ისინი იძულებულნი იყვნენ გააფხაზებულიყვნენ. ვინ არ იცის, რომ იმ 19%-დან ნამდვილი აფხაზები (აფსუები) ნახევარსაც არ შეადგენენ, დანარჩენი ხომ გაფხაზებული ქართველებია!

7.“აფხაზთა მხარემ მიიღო შეთავაზებული საარჩევნო კანონპროექტი“ (რომლითაც აფხაზთა მხარემ მიიღო 28 ადგილი, ქართულმა — 26 და ე. წ. არამკვიდრმა მოსახლეობამ — 11, ი. ლ.).

ხედავთ რა ჭკუიანურად მოქმედებდა თურმე ე. წ. ეროვნული ხელისუფლება? აფხაზებმა უარი კი არ თქვეს შეთავაზებულ პროექტზე, არამედ — მიიღეს! მერე რა, რომ პირველივე სხდომიდან დაიწყეს აფხაზებმა ქართველთა ინტერესების უგულებელყოფა და ურთიერთშეთანხმების დარღვევა. ავტორების აზრით მთავარია, რომ „უკანასკნელი 70 წლის მანძილზე შეიქმნა უშუალო შეთანხმების პრეცენდენტი (მესამე დაინტერესებული მხარის აშკარა მონაწილეობის გარეშე).

გამოდის, რომ ამ კანონს „მესამე მხარეც“ კი (ანუ რუსეთი) „ოფსაიდში“ ჩაუყენებია? და ასეთ არაჩვეულებრივ საარჩევნო კანონს უმადურმა ქართველებმა „უსამართლოდ უწოდეს ქართველთა მიმართ დისკრიმინაციული აპარტეიდული კანონ“. აი, ქართველები მაშინ ივარგებენ ამ კანონისათვის აფხაზთა მიმართ დისკრიმინაციული აპარტეიდული კანონი რომ ეწოდებინათ!

ისე, ძალზედ საინტერესო იქნებოდა ავტორებს რომ ეთქვათ — მსგავსი საარჩევნო კანონპროექტი თუ არსებობდა სადმე და ოდესმე. მაგრამ განა შეიძლება ასეთი „ჭკვიანური“ კანონპროექტი სხვა სახელმწიფოსაც ჰქონოდა? მაშინ იმ სახელმწიფოს ხომ ისეთივე ჭკვიანი ხელისუფლება და შორსმჭვრეტელი მრჩეველ-კანონშემოქმედნი უნდა ჰყოლოდა, როგორიც ჩვენ გვყავდა. ასე რომ, ეს ჩვენი, ეროვნული მოძრაობის დამოუკიდებელი მიღწევა ყოფილა და „არასწორია შეხედულება, თითქოს საარჩევნო კანონი ქართულმა მხარემ რუსეთის დაწოლითა და დაუინებული მოთხოვნით მიიღო“.

დიდი მიამიტობა კია ასეთი დასკვნის გამოტანა, მაგრამ რას იზამ, როცა ამას „პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევის საზოგადოებრივი ცენტრი“ გეუბნება. ისეთი ნაცარია, გინდა არ გინდა, უნდა დაიჯერო კაცმა!

ახლა გადავიდეთ ამ სტატიის კვინტესენციაზე — „1991 წლის საარჩევნო კანონის მნიშვნელოვანი ღირსებების“ განხილვაზე. სულ ექვსი მნიშვნელოვანი ღირსება ჰქონია ამ კანონს. რიგით ღირსებებს კი, ალბათ, რა ჩამოთვლის!

1. „უპირატესობა მიეცა აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას არამკვიდრთან შედარებით“.

ჯერ ერთი, ვერაფერი სატრაბახოა, როცა შენს მოქალაქეს სხვადასხვა უფლებები გააჩნია ეროვნებისდამიხედვით. ეს სატრაბახო კი არა, თავის მოსაკრეფია!

მეორეც, ერთ მკვიდრ მოსახლეობას (აფხაზებს) ასევე უდიდესი უპირატესობა რომ მიეცა? მეორე მკვიდრ მოსახლეობასთან (ქართველებთან) შედარებით, „ეს არ უნდა იყოს ამ კანონის „მნიშვნელოვან ღირსებებში“ აღნიშნული? თუ ეს რიგითი ღირსებაა?

2. „კონსტიტუციური ცვლილებების მიღებას ესაჭიროებოდა ხმების 2/3, რაც პრაქტიკულად მხოლოდ აფხაზ და ქართველ დეპუტატთა შეთანხმებით მოქმედებით განხორციელდებოდა შესაძლებელი. კანონშემოქმედებითი თანამშრომლობას რამდენადმე უნდა შეეწყო ხელი ქართველთა და აფხაზთა შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის“.

სრულებითაც არ უმტკივნეია თავი აფხაზთა მხარეს ხმების 2/3-ის მოსაპოვებლად. ადგა და ხმების უბრალო უმრავლესობით (11 არაფხაზი დეპუტატიდან 7 თავის მხარეს ჰყავდა) მიიღო რაც უნდოდა — ყველა კანონი თუ ცვლილება, და ;ოგიერთ მათგანს უკანონობის ელფერი რომ არ დაკეროდა, „დროებითი“ უწოდა.

ეს რომ ასე მოხდებოდა ყველა ქართველმა კარგად იცოდა, განსაკუთრებით 1989 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ. მაგრამ ამას ვერ ხედებოდნენ (ან არ ხედებოდნენ) სწორედ ისინი, ვისაც ამის ცოდნა ევალებოდა. მიღებულმა საარჩევნო კანონმა და ქართველთა გახლეჩამ „ზვიადისტებად“ და „ანტიზვიადისტებად“, „მესამე“ ძალას საშუალება მისცა [illegible] ეკეთებინა თავისი [illegible].

3. „ეს კანონი აფხაზეთში მცხოვრებ არცერთ ეთნიკურ ჯგუფს არ აძლევდა საშუალებას, მოეპოვებინა გადატონებული მდგომარეობა და დაემყარებინა ეთნოკრატიული ტიპის მმართველობა (სინამდვილეში პირიქით თუ მოხდა, ეს იმიტომ, რომ სწორედ აღნიშნული კანონი იქნა დარღვეული)“.

სწორედ იმიტომ მოხდა „პირიქით“, ასეთი კანონი რომ მივეცით. ეს კანონი რომ არა აფხაზები ხმების უბრალო უმრავლესობასაც ვერ დააგროვებდნენ და ვერავითარ კანონს ვერ მიიღებდნენ ქართველთა მხარდაჭერის გარეშე.

4. „აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში აფხაზთა არაპროპორციულად გაზრდილი წარმომადგენლობა და რეგიონის მართვაში მათი რეალური მონაწილეობა მთელ მსოფლიოს დაანახებდა საქართველოს ჭეშმარიტ ეროვნულ პოლიტიკას — მცირერიცხოვანი მკვიდრი ერის უფლებების ფაქტიურ დაცვას“.

ე. ი. თურმე მცირერიცხოვან მკვიდრ ერებს 150%-ით მეტი ადგილი თუ არ მიეცა, ისე მსოფლიო ვერ დაინახავს რა პოლიტიკას ატარებს ესა თუ ის სახელმწიფო?

5. „ამ კანონით უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებდით რუსეთის ეროვნულ პოლიტიკას. რუსეთის ფედერაციაში შემავალი თითქმის ყველა ავტონომიისათვის, რომელიმ მკვიდრი მოსახლეობა, რუსეთის დემოგრაფიული აგრესიის შედეგად, ეროვნულ უმცირესობად იქცა, აფხაზეთის ხელისუფლების ფორმირების პრინციპი „ეროვნული სამართლიანობის თვალსაზრისი მაგალითი: უნდა გამხდარიყო“.

მართლა ყველაფერს იტანს ქაღალდი! როგორ უნდა ოფიქრო კაცმა სერიოზულად, რომ „აფხაზეთის ხელისუფლების ფორმირების პრინციპის“ მაგალითით უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებ რუსეთს, და ისიც ხირცხვილისგან დაიწვებოდა — „ეს რა გეოქვეს ქართველებმაო“ და იძულებული გახდებოდა რუსეთში შემავალი ყველა ერისთვის სულ 150%-ით მეტი ადგილი მიეცა, ვიდრე რუსებისთვის!

6. „დაბოლოს, ყველაზე მთავარი, ამ კანონის მიღებით არსებული პრობლემის მოგვარება პოლიტიკური ხერხით გახდა შესაძლებელი, რითაც, მაშინდელმა ხელისუფლებამ გვერდი აუარა მოსკოვის მიერ დაგებულ კიდევ ერთ ხაფანგს“.

გვერდი კი არ აუარა ხაფანგს, არამედ ნებაყოფლობით შეყო თავი ამ ხაფანგში, მისცა რა სამართლებრივი საფუძველი აფხაზებს. აკი თვით ავტორები აცხადებენ, რომ აფხაზეთის კონსტიტუციურმა „თითქმის სამართლებრივი ლეგიტიმაციის გარეშე მოახერხა თავისი სეპარატისტული ზრახვების დიდი ნაწილის რეალიზაცია“.

ვინაიდან სტატიის ბოლოს ავტორები თმენას გასთქვამენ, რომ ამ საარჩევნო კანონის მოწინააღმდეგენი „არ დაიზარებენ და წარმოადგენენ არგუმენტირებულ ალტერნატიულ გზას“, რომელსაც უნდა დასდგომოდა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება, ჩემს თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი მხოლოდ, რომ აუცილებელი იყო შემდეგი ნაბიჯების განხორციელება:

1. 1989 წლის ივლისის ამბების სრული გამოძიება;

2. დემოკრატიული არჩევნების ჩატარება (ყველა მოქალაქის უფლების თანაბრად დაცვით;

3. მოსახლეობიდან იარაღის ამოღება;

4. „მოსკოვის ფაქტორის“ (ავტორების გამოთქმა) ნეიტრალიზება.

იაკობ ლეჟავა

სანამ შაგრენის ტყავივით სულ არ გამოგვცლია საჭიროზლო ხელიდან...

სერგო ჯანაშია

ამ ბოლო ხანს პრესითა და ტელევიზიით სულ უფრო ხშირად გადასცემენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს აფხაზთა მხარე აპირებს გადმოლახოს ენგური და ჭუთაისამდე გაილაშქროს, რომ ამისათვის ისინი ავრცელებენ პროვოკაციულ განცხადებებს ქართველთა შეიარაღებული ძალების შესაძლო შეტევის შესახებ გალის მიმართულებით, რომ ადგილი აქვს აფხაზთა მხრიდან პროვოკაციებს მდ. ენგურს გადმოღმა განლაგებული ჩვენი საგუშაგოებისა და ქართული სოფლების მისამართით და ა. შ. მე უგდიდელი კაცი ვარ, თანაც იმ სოფლიდან (რუხიდან), რომელსაც მხოლოდ ენგური ჰყოფს გალის რაიონიდან და ბუნებრივია, სხვა ზუგდიდელებთან, წალენჯიხელებთან, სულაც სრულიად საქართველოსთან ერთად მაშფოთებს ასეთი ხმები აფსუათა შესაძლო გამოლაშქრების შესახებ სამეგრელოსა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. მით უფრო ძლიერდება ჩემი შიში, როცა გალის რაიონის საზღვრამდე მისულს რამდენიმე კინკილა ავტომატიანი და „ბმპ“ თუ „ბტრ“-იანი სამხედრო დაგზავნება აქეთა მხარეს საზღვრის დამცველად, როცა არავითარი თავდაცვითი ზღუდე არ შენდება და შეიძლება ითქვას, მოსახლეობა ბედის ანაბარაა მიტოვებული სისხლისმსმელი მტრის წინაშე, თუ არ ჩავთვლით სამხედრო პოლიციისა და საერთოდ, პოლიციის ნაწილებს, რომლებიც არიან განლაგებულნი რაიონში და რომლებთაც, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა და მინდობილი საქმისადმი თავდადებული მიდგომისა, არ შეუძლიათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ კბილებამდე შეიარაღებული მტრის შესაძლო შემოტევას.

კიდევ უფრო ძლიერდება ჩემი შიში იმის გამო, რომ აგერ, ამ ორიოდ დღის უკან, თითქოს ამ ხმების დასტურადო, აფხაზმა სეპარატისტებმა ერთდროულად მიტანეს იერიში როგორც დალის ხეობის სოფლებზე, ასევე ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელზე, ხურჩაზე და სოფლის მოსახლეობაც აფხაზეთის ქართველობის მსგავსად, იძულებული შეიქნა გახიზნულიყო და სხვა სოფლებში შეეფარებინათ თავი.

არადა, ამასწინანადელ (რიცხვი არ მახსოვს) საპარლამენტო სხდომაზე აფხაზთა შესაძლო გამოლაშქრების შესახებ გავრცელებული ინფორმაციებით შეშფოთებულმა დეპუტატებმა სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს სთხოვეს ეთქვა პარლამენტარებისთვის ამ ინფორმაციების შესახებ თავისი აზრი, მაგრამ ბატონმა ედუარდმა მისთვის ჩვეული სიმშვიდითა და აუღელვებლობით განაცხადა, რომ ამისთანა ინფორმაციებს მე არ ვფლობ და თუ რამე ხდება იქ, აგერ, უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელი გვეტყოდაო.

მე არ ვიცი რას იტყოდა უშიშროების სამსახურის შეფი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ნათქვამია, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო. ამ შემთხვევაში ეს ხმები აფხაზთა შესაძლო გამოლაშქრების შესახებ, ეტყობა, მთლად უსაფუძვლოც არ არის. მით უფრო მას შემდეგ, რაც აფსუა სეპარატისტები კვლავ გააქტიურდნენ და ამიტომაც შეშფოთებული ხალხი (მათ შორის პარლამენტარებიც) ბუნებრივია, სახელმწიფოს ხელმძღვანელისაგან ელიან სწორი ინფორმაციის მიღებას.

ინფორმაცია ინფორმაციად, მაგრამ იმ ხელისუფლებისაგან, რომელმაც თავისი არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით მისი მმართველობის ორი წლის მანძილზე ლამის გაანახევრა საქართველოს ტერიტორია და მისი მოსახლეობაც, ვერაფერს სახეიროს უნდა მოელოდე კაცი და მით უფრო ახლა, როცა აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, როგორც სჩანს, საფრთხე ემუქრება სამეგრელოს, იმერეთს, სულაც დასავლეთ საქართველოს, მხოლოდ ამ ხელისუფლების იმედად ყოფნა ბევრს ვერაფერს გვარგებს.

ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას მობილური საჯარისო ნაწილები, შეძენილ იქნას თანამედროვე შეიარაღება, ტყვია-წამალი, ჩასაცმელ-დასახური, გაკეთდეს თავდაცვის ზღუდეები, ვემზადოთ მოსალოდნელი თავდასხმისათვის და ა. შ. ჩვენი მთავრობა რუსეთსა და ესენგეს „შესაკინებს“ თვალებში და შველას იქიდან ელის. ეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენჯერ და როგორ „გვიშველა“ რუსეთმა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში, არათუ ხელისუფალთათვის, დღეს საქართველოში პატარა ბავშვისთვისაც კი ნათელია.

სამაგიეროდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით და ზვიადიზმთან ბრძოლის წარმატებით დაგვიგვინების მიზნით საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით აფხაზეთის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, იარაღს ართმევენ (თუმცა პარლამენტმა მიიღო კანონი იარაღის შენახვის უფლების შესახებ), ხელისუფალთათვის არასასურველ პირებს ზვიადისტის იარლიყის მიკერებით აპატიმრებენ და მოკლედ, იმასვე აკეთებენ, რასაც აკეთებდა კომუნისტური ხელისუფლება არც ისე შორეულ წარსულში აფხაზეთში, როცა ქართველები მასობრივად განაიარაღეს, სახლებში სანადირო თოფებიც კი არ გაუჩერეს და ამ დროს აფხაზთა ავტომატ-აკომბარმტყორცნები საერთოდ ვერ შეამჩნიეს. იგივე ხდება დღეს შიდა ქართლშიც, როცა ჩვენმა „გამოღვიძებულმა“ პოლიციამ, მათი თქმის არ იყოს, მეხუთე თუ მეექვსე რაუნდი მოაწყო იქ და დამნაშავეებთან ერთად ქართული მოსახლეობა სრულიად განაიარაღა და ოსურ სოფლებში, სადაც, როგორც ამბობენ, სამხედრო საჯურვლისა და იარაღის მთელი არსენალია შენახული, ცხვირიც კი არ შეუყვანთ.

რა თქმა უნდა, წესრიგის დამყარება და ყაჩაღობა-ბანდიტიზმის აღკვეთა მისასალმებელი საქმეა, მაგრამ ისე არ უნდა გააკეთო კაცმა, რომ შენი თანამემამულე დაუცველი დატოვო შესაქმელად ხახადაღებული მტრის წინაშე, მით უფრო, რომ მისი დამცველი ამჯერად (და მხოლოდ ამჯერად?), ვიმეორებ, ნადი დამცველი, დღეს არც მთავრობაა, არც მისი ჯარი (თუმცა სადღაა ჯარი) და მითუმეტეს, არც პოლიცია, რომელიც დიდი საბრძოლო თვისებებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა და ბოლოსდაბოლოს ეს მისი ფუნქციაა არც არის.

მაშ სადაა საშველი, იკითხავს შეფიქრიანებული მკითხველი. საშველი, ჩემი ღრმა რწმენით, ისევ ჩვენშია. თუ ჩვენ, ქართველები, არ დავირაზმეთ და ერთად არ აღვსდგეგით მომხვდურის წინააღმდეგ საბრძოლველად, მარტო მთავრობის, რუსეთის, ესენგეს და თუნდაც გაეროსი ან ამერიკის იმედად ყოფნა, ბევრს ვერაფერს გვიშველის და ადვილად შესაძლებელია იგივე ბედი გავიზიაროთ და წამების იგივე გზის გავლაც მოგვიხდეს, რაც აფხაზეთის ქართველობას გადახდა თავს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმე ჩვენ უნდა ავიღოთ ხელთ, რიგითმა ქართველებმა, იმათ, ვისაც ერთი სამშობლო აქვს მხოლოდ და სხვაგან გასაქცევად არც გული ერჩის და არც ფეშენებლური „ჭოხები“ იზიდავს. ამ მიწაზე ჩვენმა შვილებმა, მათმა შვილებმა, შვილთაშვილებმა უნდა იცხოვრონ და ეს მიწა კი, უუნარო მმართველთა წყალობით, შაგრენის ტყავივით თანდათან ხელში გვადნება.

ბიძინა თავაძე

სულის ტკივილი...

ქართველობა გარბის საქართველოდან. ოფიციოზის მონაცემებით უკვე 500 ათასზე მეტი ქართველია წასული საზღვრებს გარეთ. როგორც ჩანს, ზოგიერთისათვის ეს ნორმალური მოვლენაა, ამიტომ არავინ სტეხს განგაშს როგორც საჭიროა.

არადა საქართველო უქართველოდ? ... მერე რა, არ იქნება ქართველობა, სამაგიეროდ იქნება საქართველოს ხალხი და ქვეყნის სახელის შეცვლაც არ იქნება პრობლემა. აკი შეიქმნა საქართველოს ' ტერიტორიაზე უქართველო თვითმარქვია სახელმწიფოები — აფხაზეთი, ოსეთი...

დიახ, ეს მწარე სინამდვილეა და იმპერიის ინტერნაციონალური, პროლეტარული ნაციონალური პოლიტიკის ბოლო აკორდია, რომლის სასინჯ ქვა ათეული წლობით იყო საქართველო.

იწურება ავბედითი მეოცე საუკუნე და შეხვდება თუ არა ახალ საუკუნეს საქართველო, როგორც სახელმწიფო, და ქართველობა, როგორც ერი, ეს ჯერ კიდევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

გადაჭარბებულად ნურვინ ჩათვლის ამ განცხადებას. აგერ ჩვენს თვალწინ დაკარგულია ისედაც შაგრენის ტყავივით დამცრობილი საქართველოს თითქმის მესამედი; საკუთარ მიწა-წყალზე ლტოლვილი, დაუცველი, აბუჩად აგდებული და უმწეოა 300 ათასამდე ადამიანი; თითქმის არ არსებობს სახელმწიფოებრიობა; უკიდურეს ზღვრამდე მოშლილია ეკონომიკა; ხალხს დაკარგული აქვს რწმენა, ღირსება და იმედი.

ვინ ან რამ უნდა გადაარჩინოს საქართველო? ქვეყანას გადაარჩენს სწორი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური პოლიტიკა. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არც ერთი გვაქვს, არც მეორე და არც მესამე. არც დამსახავი ვინმე ჩანს.

როგორც დრომ გვიჩვენა, ძველი ლენინური, ინტერნაციონალური, კომუნისტური წარსულით დაღდასმული თაობები სწორ პოლიტიკას ვერ დასახავენ; ახალი თაობების უბედურება კი ისაა, რომ მათი დიდი ნაწილი დაგეშილია იარაღზე, სისხლზე, ნარკოტიკებზე, გაფტანლობაზე, უშრომლად ფულის კეთებაზე (რაც ნამდვილი ბიზნესისათვის უცხოა), რის გამოც მათი საერთო პოზიცია ანტიეროვნულია და სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ქვეყანა ცაში გამოკიდული.

აგონიასა და აპათიაში ჩავარდნილ ქართველობას მხოლოდ სწორი, ჯანსაღი ეროვნული პოლიტიკა გადაარჩენს. პირველ რიგში კი საჭიროა ეროვნული ღირსების აღდგენა, რომელიც ასე მოხერხებულად ჩაკლა იმპერიული ძალების მიერ შემოგდებულმა ღვარძლმა.

ქართველობას უნერგავენ, რომ თურმე იგი ყველაზე ზარმაცი ხალხია მსოფლიოში; არადა, სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, სწორედ მან შექმნა მსოფლიოში ყველაზე მეტი ვაზისა და ხორბლის ჯიშები;

ქართველობას უნერგავენ, რომ იგი ყველაზე მეტად ურთიერთგაუტანელია; არადა, ისეთი პროცესები, რაც დღეს საქართველოში მიმდინარეობს დამახასიათებელი იყო და არის ნებისმიერი ხალხისათვის, ზოგჯერ უფრო მეტადაც და მწვავედაც;

ქართველობას უკიჟინებენ, რომ იგი სხვა ხალხთა მოძულეა. არადა, სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე ჰპოვეს თავშესაფარი ებრაელებმა, სომხებმა, ოსებმა, აფსუებმა, აზერბაიჯანელებმა, ჭურთებმა და ბევრი სხვა ხალხების წარმომადგენლებმა, რომელთაც ყველა სიკეთე მიიღეს ქართველებისაგან. თავად კი ზოგიერთმა უმადურობით გადაგვიხადა და იწყო ტერიტორიისა და მზა-მზარეული ისტორიის მითვისება. ჩვენ კი ჩვენი სტუმართმოყვარეობის გამო უმწეო შემყურეთა როლში აღმოვჩნდით.

აი, ასე ქართველთა შინაურმა და გარეულმა მტრებმა სიზარმაცის, ურთიერთგაუტანლობის, სხვა ერთა მოძულეობის და უმისიობის საბაბით ჩვენი ერის არსებობას ლამის ჯვარი დაუსვან.

მე არ ვიცი, რა ეროვნებას აკუთვნებს თავს სახაროვის

დასასრული მე-8 გვ.

ხულის ტკივილი...

მეშვიდე გვერდიდან

ქვრივი ქალბატონი ელენე ალიხანიან-ბონერი, მაგრამ თუ იგი ჰომო საპიენსის წარმომადგენლად მიიჩნევ თვლის თავს, მაშინ მას შუბლის ერთი ძარღვი მაინც უნდა შეტოკებოდა აფხაზეთში ქართველთა გენოციდის კადრების ხილვისას და აზრი შეეცვალა მისი მეუღლის აბსურდულ იდეაზე — საქართველოს იმპერიულობის შესახებ.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რუსეთის სახელმწიფოს ნაციონალიზმის გამოვლინებად არ ეთვლება, როცა იგი ზრუნავს საზღვარგარეთ მცხოვრებ არა მარტო რუსებზე, არამედ, ასე განსაჯეთ, ე. წ. რუსულენოვან მოსახლეობაზეც კი, მაშინ, როცა საქართველოში ქართველობაზე რაიმე ზრუნვა და მინიშნება ცოდვად და ნაციონალიზმად ინათლება.

არადა, ხომ ფაქტია, რომ საქართველოში, სადაც ათეული საუკუნეების განმავლობაში სწორედ ქართველთა სისხლითა და ოფლით შენდებოდა და იქმნებოდა თუ რამე იქმნებოდა. ამჟამად ყველაზე მეტად სწორედ ქართველობაა დაჩაგრული, უფლებააყრილი, შეურაცხყოფილი, შევიწროებული...

ისიც ხომ ფაქტია, რომ ერთეული გამონაკლისების გარდა, სწორედ ქართველთა სისხლი იღვრებოდა და იღვრება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. სხვები კი ბაგრამიანისა და სხვა ათასი „იანის“ სახელობის ბატალიონებს ქმნიან და ჩვენი ტერიტორიებიდან უბოდიშოდ გვაძევებენ.

სწორედ ამიტომაა საჭირო სწორი ეროვნული პოლიტიკის შექმნა და გატარება, ურომლისოდაც საქართველოს მომავალი არ უწერია.

სწორი ეროვნული პოლიტიკა იმას უნდა ეფუძნებოდეს, რომ საქართველო რაკი საქართველოა, სადაც სწორედ ქართველობა ათასეული წლების მანძილზე ჰქმნიდა თვითმყოფად კულტურას, პირველ რიგში მან ქართველთა ნორმალურ ყოფა-ცხოვრებაზე უნდა იზრუნოს; რაკი ყველა სახელმწიფო, პირველ რიგში, ჯერ საკუთარ ერზე ზრუნავს და ეს ნორმალურად ითვლება. რაც შეეხება სხვა ხალხების წარმომადგენლებს, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ უფლებებთან ერთად მოვალეობებიც არსებობს და ისინი მეორეხარისხოვანი სრულიადაც არაა.

როცა საქართველოს მოქალაქე ხარ და ქვეყანას უჭირს, არ შეიძლება შენ ყარაბაღში წახვიდე და სხვა სახელმწიფოს ინტერესები დაიცვა, თუ არა და მაშინ პრეტენზიებიც არ უნდა გქონდეს.

სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველებს, ასეთ რამეებზე ლაპარაკს მკრეხელობად გვითვლიან. თურმე სხვა ხალხებს ყველაფრის უფლება აქვთ, როგორც უნდათ ისე მოიქცნენ, ქართველობა კი სხვას უნდა უყურებდეს თვალებში — ვის რა მოეწონება და რა არა.

სწორი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური-პოლიტიკის გატარება სწორი ეროვნული პოლიტიკის გარეშე შეუძლებელი იქნება. იგი დაუბრუნებს ქართველობას რწმენას. თუ არა და მომავალში გვეყოლება მარტოოდენ საქართველოს ხალხი, მაგრამ არ იქნება ქართველობა და საქართველო.

ქართველობა გარბის საქართველოდან, დროა გამოვფხიზლდეთ.

საქართველოს სახალხო ფრონტიდან

პარასკევს, 25 მარტს სახალხო ფრონტის ბტაბ-ში გაიმართა სახალხო ფრონტის დარბაზის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სახალხო ფრონტის პოზიცია მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, მზადება 12 ივნისის არჩევნებისათვის და საორგანიზაციო საკითხები.

დარბაზის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის დარბაზის წევრები: აკად. შოთა ნადირაშვილი, პარლამენტარი ლევან მესხი, აბესალომ ტუღუში, ავთანდილ ბერიძე, გოგი სორდია, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე გოჩა გავაშელი და სხვები. დარბაზის სხდომაზე მიღებულ იქნა განცხადება, რომლის ტექსტსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება

Imასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პარლამენტის წინაშე სახელმწიფოს მეთაურის მიერ დასამტკიცებლად თითქმის უცვლელადაა გამოტანილი მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობა, საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი თავს მოვალედ თვლის განაცხადოს შემდეგი:

მიუხედავად ჩვენი პატივისცემისა მთავრობის ცალკეული წარმომადგენლებისადმი, მთლიანად მთავრობა, ჩვენის აზრით, არ იმსახურებს ნდობას არც კეთილსინდისიერების არც ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისადმი ერთგულების, არც კვალიფიციურობის თვალსაზრისით.

ეს მთავრობა უკვე წელიწადნახევარია არსებობს. მისი მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო დამძიმდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. ამ მთავრობამ ვერ შეძლო შეექმნა ბრძოლისუნარიანი დისციპლინირებული არმიის ჩანასახიც კი. შედეგად წაგებულ იქნა ომი აფხაზეთში, დროებით დათმობილ იქნა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია, დახოცილია 40 ათასზე მეტი აფხაზეთის მკვიდრი ქართველი, ასეული ათასობით ხიზანი უსახლკაროდაა დარჩენილი, უმძიმესი ვითარებაა შიდა ქართლში, რომელიც ქართული მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. საქართველოს მოსახლეობას არ გააჩნია ელემენტარული საარსებო პირობები. ამ მთავრობას მიუძღვის უპირველესი ბრალი კუპონის ზენორმულ, კატასტროფულ გაუფასურებაში, — იმაში, რომ კუპონზე დღეს მხოლოდ პური და გაზეთიღა იყიდება, მოსახლეობა მოკლებულია ისეთი საყოველდღიურო საჭიროების საქონლის შეძენის საშუალებასაც კი, როგორიცაა ასანთი, საპონი და სხვა.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი თვლის, რომ საჭიროა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის დიდწილად შეცვლა. ამასთან, მინისტრთა კაბინეტს უნდა ჰქონდეს, როგორც სამეურნეო, ასევე პოლიტიკური ფუნქცია: მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაურის კურსისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარება.

საქართველოს სახალხო ფრონტი მზადაა კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის ყველა პოლიტიკურ ძალასთან მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებისა და ფუნქციობის ამოცანათა განხორციელების მიმართულებით.

1994 წლის
25 მარტი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „თელასის აზრით ვარკეთილსა და დიდ დღეში „ზანგები“ ცხოვრობენ“, რომელშიც აღნიშნული დასახლებებისათვის დენის მიწოდებაში შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობის გამო გავაკრიტიკე თელასი.

მცირე განმარტება

სინამდვილეში კი, როგორც თელასის ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ გაირკვა, თურმე ქალაქში და საერთოდაც, დენს ანაწილებს არა თელასი, არამედ საქენერგო და მისი სამსახურები და ამდენად, ვარკეთილსა და დიდ დღეში შექმნილი რთული სიტუაციისათვის სწორედ ისაა პასუხისმგებელი და არა თელასი.

მე პირადად მზად ვარ ვირწმუნო თელასის ხელმძღვანელთა ეს განმარტება და მათთან ბოდიშის მოხდით ის მწარე სიტყვებიც, თელასის მისამართით რომ მაქვს ნათქვამი, საქენერგოს გადავულოცო, თუმცა ვეჭვობ, რომ ამით საქმეს ეშველოს რამე და ერთ უღელში შებმულმა ამ ორმა ორგანიზაციამ ისე აკეთოს საქმე, რომ ერთი ერთ მხარეს არ იქაჩებოდეს, მეორე კი მეორე მხარეს და საბოლოო ჯამში საქმე კეთდებოდეს.

ყველა პრობლემა კი მაინც მთავრობასთან იყრის თავს და საბოლოო ჯამში ყველაფერზე პასუხისმგებელიც ის არის. თუმცა, აბა რა პასუხი უნდა მოსთხოვო დღევანდელ მთავრობას, რომელიც უკვე, შეიძლება ითქვას, ჰაერშია გამოკიდებული.

სერგო ჯანაშია

იყიდება

კარგ გამართულ მდგომარეობაში ანტიკვარული პიანინო „შიდმაიერი“, დამზადებული მე-19 საუკუნის ბოლოს, „გრანდ პრი“-ის მფლობელი სენტ-ლუისისა (1900 წ.) და პარიზის (1904 წ.) კონკურსებში. ფასი 1300 დოლარი

ტელ. 99—50—33; 99—94—67

ვყიდი

სამოთახიან, იზოლირებულ ბინას ვერაზე.

ფასი შეთანხმებით

ტელ. 23—18—46 დოდო

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ეგანოიძე
ხათუნა კვესელავა
რიმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29,

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
15000 კუპონი

გაზეთი დააკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აბა“-ში
ტელ:
93-83-07, 29-49-60